ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 11 თებერვალი, 2021 №19 (8548) ფასი: 60 თეთრი

ევროპაში ოპერაციები „კანონიერი ქურდი“ და „ბრატვა-35“ ჩატარდა

იტალიაში 23 ქართველი დააკავეს, საფრანგეთში – 17

გვ.5

11 თებერვლიდან

მაია ბურჭულაძე

ბედისწერის შვილები მემკვიდრე ორშაბათის სიზმარი

„დიმიტრი ძნელაძე კრიმინალისტიკის ლაბირინთებში“

ტომი 7

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

„ელისაშვილსა და „გირჩს“ ოპოზიციად მამუკა მდინარაძეც არ თვლის“

„აქციების ორგანიზატორი მეც ვიყავი... 50 ათას კაცს გამოვიყვანთ“

გვ.3

ანზორ ბიწაძე: „არავის სჯერა, რომ ივანიშვილი წავიდა“

„ივანიშვილი გახარიასაც პირველობას ჰპირდებოდა და კობახიძესაც“

გვ.4

გოგი წულაია: „ხელისუფლების შიგნით არსებული უთანხმოებები გარეთ გამოვიდა“

„მელია „ოცნებას“ ყელში მძიმედ გაეჩხირა“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „საქართველოში ყველაფერზე აგრესიული უმრავლესობა ბატონობს“

„ნაცმოძრაობა მთელ პოლიტიკურ სპექტრს შეჭმას უპირებს“

გვ.4

მამუკა ტუსკაძე: „ოპოზიციის იმ დეპუტატებს, რომლებიც პარლამენტში არ შედიან, უფლებამოსილება ძალიან მარტივად უნდა შეუწყვიტონ“

იაგო ხვიჩია: „ოპოზიციის 13 დეპუტატს პარლამენტში შევიყვან, თუ ოცნება მისაღებ წინადადებას დადებს“

გვ.2

„სულ მინდოდა ივანიშვილის გაცნობა, მაგრამ არ გამოვიდა“

აშშ-ის ელჩს შეხვდა



გვ.5

ISSN 1987-9385

2 დავით ბაქრაძე „ევროპული საქართველოდან“ მიდის

„კვირის ბოლომდე ყველაფერს ვიტყვი“

6 სომხეთმა და აზერბაიჯანმა ტყვეები გაცვალეს

5 საბურთალოზე ჩართული გათბობის ქვაბი მოიპარეს

6 გერმანია შეზღუდვებს 14 მარტამდე ახანგრძლივებს

იაგო ხვიჩია: „ოპოზიციის 13 დეპუტატს პარლამენტში შევიყვანთ, თუ ოცნება მისაღებ წინადადებას დადებს“

„სულ მინდოდა ივანიშვილის გაცნობა, მაგრამ არ გამოვიდა“

იაგო ნაცვლიშვილი

მისაღებია თუ არა „ქართული ოცნების“ შემოთავაზება და შევა თუ არა პარლამენტში? რა აძლევს რწმენას, რომ ოპოზიციას დაარწმუნებს, რომ პარლამენტში შევიდნენ და ვის ელაპარაკება ამ საკითხზე? რატომ გამოთქვამს წუხილს იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილი ვერ გაიცნო და მიიჩნევს თუ არა მას ერთგვარ პოლიტიკურ იდეალად? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „გირჩის“ თავმჯდომარე იაგო ხვიჩია საუბრობს.

– „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციას შემოგთავაზათ წინადადება პროპორციულ სისტემასთან დაკავშირებით. თქვენ განაცხადეთ, რომ მზად ხართ, მიიღოთ ეს და კოლეგებიც დაითანხმოთ. რაზეა დამოკიდებული, მიიღებთ თუ არა ამ შემოთავაზებას?

– „ოცნებამ“ უნდა დადოს შემოთავაზება სრულყოფილი სახით. ამწუთას პრობლემა ის არის, რომ სინამდვილეში მაგიდაზე „ოცნებისგან“ არ დევს შემოთავაზება.

– მისი შემოთავაზება დღეს რეალურად ნახევარფაბრიკატია?

– ჩვენ ვთქვით, რომ გვინდა პროპორციული არჩევნები ბუნებრივი ბარიერით და ამის გამო შევდივართ პარლამენტში. „ქართული ოცნების“ პოზიციაში პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ 9 თებერვლის განცხადებასაც თუ გავითვალისწინებთ, ისინი 3%-იან ბარიერზე არიან წამომსვლელები. ეს თქვა თალაკვაძემ. 3%-იანი ბარიერი 5%-იან ბარიერს სჯობია, თუმცა არ არის უბარიერო და, თუ უბარიერო არ არის, მაშინ სხვა პოლიტიკოსების შეყვანის შანსი არ არსებობს. ეს არ არის ის, რის გამოც თავის დროზე შეიკრიბა ოპოზიცია.

ჩვენ გვჯერა, რომ ოპოზიცია შევა პარლამენტში, თუ მოხდება ის, რის გამოც თავის დროზე შეიკრიბა – ეს არის პროპორციული არჩევნები ბუნებრივი ბარიერით.

– ოპოზიცია ხაზგასმით ამბობს, რომ პარლამენტში მხოლოდ ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში შევა. თქვენ რა გაძლევთ რწმენას, რომ მას შეიყვანთ?

– ოპოზიციაში არის 50 ადამიანი. ჩვენ გვჭირდება 13 ხმა. თქვენ 50 ადამიანისგან არ მოგისმენიათ, ისინი სადმე შევლენ თუ არ შევლენ. ის ხალხი გადამალული ჰყავთ საკუთარი პარტიების ლიდერებს. ჩვენ გვინდა, გვქონდეს კარგი წინადადება „ქართული ოცნებისგან“, რომ ეს ხალხი გამოვიყვანოთ ჩრდილიდან. ამისთვის კი გვჭირდება წესიერი პირობები ხელისუფლებისგან.

– ანუ თქვენ ამბობთ, რომ თუ ხელისუფლებისგან დაიდება კარგი წინადადება, ოპოზიციიდან 13 ადამიანს დაითანხმებთ პარლამენტში შესვლაზე, რაც საჭიროა ცვლილებებისთვის?

– მესამედ ვთქვი უკვე, რომ ჩვენ ასეთი რწმენით ვმოძრაობთ. გამოვა თუ არა ეს, 100%-ით არავინ იცის, მაგრამ თამაშია, მჯერა, რომ წარმატებას მივაღწევთ, თუ ხელისუფლებას მაინც ენდომება, რომ შედგეს ეს პარლამენტი. ერთერთ მხარეს – ხელისუფლებას ან ოპოზიციას რომ უნდოდეს, ეს პარლამენტი შედგეს, პარლამენტი შედგებოდა.

– თქვით, რომ ნაციონალურ მოძრაობაში დაელაპარაკებით კონკრეტულ ადამიანებს და დაასახელეთ გუბაზ სანიკიძის გვარი. კიდევ ვინ შეიძლება წამოვიდეს ამ წინადადებაზე?

– ამწუთას ეს ამბავი სპეკულაცია იქნება, ამიტომ გვარების დასახელება არ გამოვა. თქვენ დამეხმარეთ იმაში, რომ დაიდოს „ოცნებიდან“ ის პირობა, რომელიც მე ვუთხარი და, ჩემი აზრით, ნაცმოძრაობაში აღმოჩნდება იმდენი ხალხი, რამდენიც საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის იქნება საკმარისი. ხელისუფლებამაც იცის ეს და მაგიტომ არ დებს წინადადებას, თორემ რა უშლით ხელს?! გულის სიღრმეში მათაც იციან, რომ ოპოზიცია შემოვა და არ უნდათ პარლამენტის შედგომა. უნდათ, რომ ეს პარლამენტი იყოს ნაცმოძრაობის გარეშე.

– გუბაზ სანიკიძე რატომ დაასახელეთ, იქამდეც გისაუბრიათ მასთან?

– მგონია, რომ თუ პირობა დაიდება, მისი შეუსრულებლობა (თუ უმრავლესობამ 90 ხმით მხარი დაუჭირა) სირცხვილია. გუბაზ სანიკიძე იმიტომ ვახსენე, რომ მამამისს აქვს დაწერილი წიგნი „309 ქართული სირცხვილი“ და ეს იქნება 310-ე ქართული სირცხვილი. მჯერა, რომ გუბაზ სანიკიძე ამაში არ მიიღებს მონაწილეობას. აი, ეს კონტექსტი იყო.

ოღონდ ამისთვის წინადადება უნდა დაიდოს და მერე შეგვეძლება მსჯელობა, ვინ როგორ მოიქცევა. ხელისუფლებას ეს ჯერ არ დაუდია.

– ერთგვარ პოლიტიკურ იდეალად წარმოადგინეთ ბიძინა ივანიშვილი და წუხილი გამოთქვით, რომ ვერ გაიცანით ის. აქ ხომ არ იკვეთება თქვენი და „ქართული ოცნების“ ინტერესები?

– იდეალად წარმოვიდგინე რას ნიშნავს? შეგიძლიათ, ციტატა მითხრათ, რომ ბიძინა ივანიშვილი იდეალური ადამიანია?

– მაგიტომ ვთქვი – „ერთგვარ პოლიტიკურ იდეალად“.

– თუ თქვენ მეუბნებით, რომ მე რაღაცა ასე გავაკეთე, თქვენ უნდა მითხრათ, რომ ამ ციტატაში ეს გამოჩნდა და მერე მე გიპასუხებთ, ასეა თუ არ არის.

– კონკრეტულად ივანიშვილის ვერგაცნობაზე გეკითხებით. ეს წუხილი ადრეც გამოთქვით და ახლაც გაიმეორეთ.

– თქვენ შთაბეჭდილება დაგრჩათ, რომ მე ის იდეალურ პოლიტიკოსად ჩავთვალე, რადგანაც წუხილი გამოვთქვი, რომ ვერ გავიცანი?

– წასულია უკვე პოლიტიკიდან და ასეთი განცდა გამიჩნდა.

– თქვენ კითხვა დაიწყეთ, ივანიშვილი იდეალურ პოლიტიკოსად მიგაჩნიათო. გამაცანით, რაში დაინახეთ, რომ მე ივანიშვილი იდეალური პოლიტიკოსი მგონია? ამბობთ, იმის გამო, რომ გაცნობა გინდოდაო. თქვენ ვისი გაცნობაც გინდათ, ყველა იდეალური გგონიათ?!

– კი, მე ვისი გაცნობაც მინდა, ყველა იდეალური მგონია, თუმცა გააჩნია კონტექსტს.

– ამას დაბეჭდავთ, რომ ამბობთ – ვისი გაცნობაც გინდათ, ყველა იდეალური გგონიათ?

– კი, დავბეჭდავ. ვიმეორებ, კონტექსტს გააჩნია. თუ საქმიანად მომიწევს შეხვედრა ვინმესთან, ეს არ მგონია იდეალურად.

– თქვენ გგონიათ, რომ მე ბიძინა ივანიშვილთან საქმიანი ურთიერთობის გარდა სხვა ტიპის ურთიერთობა შეიძლება მდომებოდა?

– წარსულში გასაგებია, მაგრამ დღეს ის პოლიტიკიდან არის წასული და წუხილს დღეს გამოთქვამთ.

– მაგიტომაც დამწყდა გული, რომ საქმიანი შეხვედრა მინდოდა.

– თუ ეს გინდოდათ, თავის დროზე რატომ არ გადადგით ნაბიჯი, რომ შეხვედროდით?

– სულ მინდოდა, მაგრამ არ გამოვიდა.

– გქონდათ მცდელობა, რომ შეხვედროდით?

– მცდელობა – არა, მაგრამ სურვილი სულ მქონდა. ეთერებში მითქვამს კიდეც, ბიძინა ივანიშვილმა რომ შემომთავაზოს, დიდი სიამოვნებით შევხვდებოდი-მეთქი.

– თუ გქონდათ კონკრეტული ხედვები, თქვენ რატომ არ შესთავაზეთ შეხვედრა?

– ეთერში შევთავაზე, მაგრამ... მიხეილ სააკაშვილსაც ხომ შესთავაზა ვახო მეგრელიშვილმა, მაგრამ არ ხვდება ეს ხალხი და განა ჩვენ ვართ წინააღმდეგი.

– ბოლოს გაძლევთ პლატფორმას და მიმართეთ თქვენს კოლეგა ოპოზიციონერებს.

– ბევრ რამეს მივმართავ, მაგრამ ამ ფორმატით რამე განსაკუთრებულს არ მივმართავ, თუმცა ზოგადად ყველას მივმართავდი, რომ აზრზე მოვიდეთ და ვიყოთ ადეკვატურები.

დავით ბაქრაძე „ევროპული საქართველოდან“ მიდის

„კვირის ბოლომდე ყველაფერს ვიტყვი“

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ევროპული საქართველოს“ ლიდერი დავით ბაქრაძე პარტიიდან წასვლას აპირებს.

გუშინ, 10 თებერვალს, დავით ბაქრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პარტიაში მიმდინარე პროცესებთან, პერსონალურ და საკადრო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის კვირის ბოლომდე გახდება ცნობილი.

– დღეს საზოგადოების განწყობა არის ძალიან მკაფიო, რომ არა მხოლოდ „ევროპული საქართველოსგან“, არამედ მთელი ოპოზიციური სპექტრისგან ის ელოდება სიახლეებს, ახალ ხედვასა და განახლებას. აქედან გამომდინარე, „ევროპულ საქართველოშიც“ მიდის მსჯელობა, თუ რა ტიპის სტრუქტურული ცვლილებები უნდა მოხდეს პარტიაში და როგორი უნდა იყოს სამომავლო გეგმები.

დღეს ვერ დაგიდასტურებთ ვერანაირ გადაწყვეტილებას პერსონალური ან საკადრო გადაწყვეტილებების შესახებ. უახლოეს დღეებში, კვირის ბოლომდე საზოგადოებას ეცოდინება ყველა დეტალი, მათ შორის, პირად გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, მაგრამ ის, რაც დღეს ხაზგასმით შემიძლია ვთქვა არის ის, რომ როგორიც არ უნდა იყოს შიდაპარტიული გადაწყობა, ის გავლენას არ მოახდენს ოპოზიციის საერთო პოზიციონირებასა და ამოცანებზე.

მხედველობაში მაქვს ოპოზიციის მიმდინარე ბრძოლა, პარლამენტის ბოიკოტი და პარლამენტში არშესვლის ნიშნად დაწერილი განცხადებები. ვერანაირი შიდაპარტიული გადანაწილება ამ პრინციპულ საკითხზე გავლენას ვერ მოახდენს და ვერ შეცვლის. ბოიკოტი დარჩება ძალაში. „ევროპული საქართველო“ დარჩება ოპოზიციურ ფლანგზე, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ირაკლი ქადაგიშვილი: „სააკაშვილმა აჯანყების მიმართვა გამოაქვეყნა“

– მიხეილ სააკაშვილმა გამოაქვეყნა ფაქტობრივად აჯანყების მიმართვა. ეგ არის პოლიტიკური ბაცილა ეროვნული სახელმწიფოს სხეულში.

ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილმა განუცხადა, რითაც სააკაშვილის განცხადების გამოეხმაურა.

– გარკვეულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა მათი არსებობის განმავლობაში ვერასდროს მიიღეს არჩევნების გზით ხელისუფლება, მათ შორისაა ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ხელისუფლებაში რევოლუციით მოვიდა და არა არჩევნებით, თორემ 2003 წელს არჩევნებში სულ სხვა პროცენტი ჰქონდა მიღებული, ამის შემდეგაც მათ მიერ ჩატარებული არჩევნები იყო ისეთი, რომელთაც ლეგიტიმაციის დაბალი ხარისხი ჰქონდა. დამარცხდნენ 2012 წლის და შემდგომ არჩევნებშიც. ვერც ამ არჩევნებში გაიმარჯვეს და ერთადერთი, რაც მათ სწორ გზად მიაჩნიათ, ეს არის რევოლუციის გზა.

რევოლუცია გამოიხატება თავიდან ბოლომდე სახელმწიფო ინსტიტუტების ტოტალურ ნგრევაში, მოსახლეობის დაპირისპირებაში და ქვეყნის არევაში. ის, რომ კოვიდის რეგულაციები უნდა დავიცვათ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის შემუშავებული, ანუ ისინი ყველაფერს არღვევენ იმისათვის, რომ რამენაირად თავიანთი პოლიტიკური მიზანი მიღწეული იქნას სრულიად არაკანონიერი გზით.

დროზე არის ხოლმე ღონისძიებები გასატარებელი იმისათვის, რომ ეს ბაცილა, კოვიდის პარალელური ბაცილა, პოლიტიკური კოვიდი, რომელსაც ავრცელებენ, დროზე აღიკვეთოს, იმიტომ, რომ არ არის კარგი, როდესაც მოქალაქეებს ასე კანონის დარღვევისკენ თვითონ პოლიტიკოსები მოუწოდებენ.

აქ რომელ პოლიტიკასა და პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზეა ლაპარაკი? ვხედავთ, რომ ამ პოლიტიკოსებმა არჩევნების შემდეგ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი რაიმე პრობლემის გარშემო საკითხი ერთხელაც არ დასვეს. ძირითადად ლაპარაკია, როგორ აიცილონ თავიდან პასუხისმგებლობა და ლაპარაკი აქვთ იმაზე, რამდენპროცენტიანი უნდა იყოს ბარიერი იმისთვის, რომ თვითონ კომფორტულად მოხვდნენ პარლამენტში. იცით, ვინ არის პოლიტიკური ბაცილა? ის, ვინც მოუწოდებს აჯანყებისკენ...

მიხეილ სააკაშვილმა გამოაქვეყნა ფაქტობრივად აჯანყების მიმართვა. ეგ არის პოლიტიკური ბაცილა ეროვნული სახელმწიფოს სხეულში, – განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

ხათუნა სამნიძე: „უბარიერო საარჩევნო სისტემის კენჭისყრაში რესპუბლიკელები მონაწილეობას მივიღებთ“

რესპუბლიკური პარტიის წევრ ხათუნა სამნიძის განცხადებით, თუ ხელისუფლება უბარიერო საარჩევნო სისტემას დაარეგისტრირებს, ის და თამარ კორძაია მზად არიან, პარლამენტში კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღონ.

– როცა გვესმის მეორე მხრიდან, ჩვენ მზად ვართ ვისაუბროთ ბუნებრივი ბარიერით პროპორციულ სისტემაზე, იმ შემთხვევაში თუ სხვა პარტიები მზად იქნებიან, შემოვიდნენ პარლამენტში და დისკუსია გამართონ, აქ მინდა, მე მათ მივმართო და დარწმუნებული ვარ, ჩემი კოლეგები ოპოზიციური პარტიებიდან გაითავისებენ ჩვენს ამ ინიციატივას, რომ წინაპირობებით არ უნდა ელაპარაკებოდეს ხელისუფლება დღეს ოპოზიციას.

თუ ის ბედავს, სთავაზობს და მზად არის, შემოგვთავაზოს უბარიერო პროპორციული სისტემა და დაარეგისტრირებს ამ კანონპროექტს, ჩვენ, რესპუბლიკელები, მზად ვართ, რომ ამ კანონპროექტის კენჭისყრის დროს 3 მოსმენით მხარი დავუჭიროთ და მივიღოთ კენჭისყრაში მონაწილეობა, – თქვა ხათუნა სამნიძემ ტვ პირველის ეთერში.

მოგვიანებით „მთავარი არხის“ ეთერში, გადაცემა „დღის სტუმარში“ სამნიძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რესპუბლიკელები ბოიკოტის რეჟიმში რჩებიან, თუმცა ბუნებრივი ბარიერით პროპორციულ სისტემაზე გადასვლა ქვეყნის მომავლისთვისაა მნიშვნელოვანი.

– ჩვენ მომავლის კენჭისყრაზე ვამბობთ, რომ უარის თქმა გაუჭირდება ყველა პოლიტიკურ პარტიას. ჩვენ ვრჩებით ბოიკოტის რეჟიმში და ველოდებით, გაბედავს თუ არა „ქართული ოცნება“ ასეთი კანონპროექტის დარეგისტრირებას, რომ მომავალში არ გვქონდეს იგივე სიტუაცია, – თქვა ხათუნა სამნიძემ „დღის სტუმარში“.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მელია „ოცნებას“ ყელში მძიმედ გაეჩხირა“

სოსო ცინცაძე: „საქართველოში ყველაფერზე აგრესიული უმრავლესობა ბატონობს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნაზეა საუბარი, რადგან ის ჯარიმას არ იხდის. შეიძლება დააკავონ თუ ვერ დააკავებენ?

– პოლიტოლოგიაში ცალკე თავად შევა „მელიას კაზუსი“. მელია „ოცნებას“ მძიმედ გაეჩხირა ყელში. დარწმუნებული ვარ, „ოცნების“ ლიდერები ღამეებს ათენებენ ფიქრში, როგორ ქნან, რომ თან დაიჭირონ და თან არ დაიჭირონ. დაიჭირონ ვაია, არ დაიჭირონ ვუია. ხელისუფლებამ არჩევანი ამ ორს შუა უნდა გააკეთოს. თუ მელიას იმუნიტეტს მოუხსნიან, მაშინ დანარჩენებსაც უნდა მოუხსნან. დანარჩენებს თუ არ მოუხსნიან, რა, ფანჯრები უნდა ჩაამსხვრიონ, დანაშაული უნდა ჩაიდინონ, რომ მოუხსნან?! კურიოზული სიტუაციაა. სამარცხვინო კურიოზია ქვეყანა გახვეული.

ნიკა მელია სულაც შარაგზის ყაჩაღი რომ იყოს, ის მთელი დასავლეთისთვის არის ქვეყანაში მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერი. ამიტომ, ვის დააკავებს „ოცნება“? არა იმ ადამიანს, რომელიც კანონზე მაღლა აყენებს თავს, არამედ – მთავარი ოპოზიციური ძალის ლიდერს. როგორ ქვეყნებში აპატიმრებენ მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერებს? უკვე ჩინეთშიც აღარ, მხოლოდ რუსეთში. რუსეთს შეუძლია, ევროპას ანგარიში არ გაუწიოს. ეს ლავროვმა ბორელთან შეხვედრაზეც გვაჩვენა, მაგრამ ამის ფუფუნება აქვს საქართველოს?!

„ოცნება“ გვეუბნება, რომ ორ-სამ წელიწადში ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი უნდა გავაკეთოთ! რა, იქვე მიაწერენ, რომ დაპატიმრებულია მთავარი ოპოზიციური ძალის ლიდერი?! დიახ, კანონზე მაღლა არავინ უნდა იდგეს, მაგრამ რომელ ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, სადაც მთავარი აუდიტორის მცემელი კაცი გამართლდა?!

– ანრი ოხანაშვილი ამბობს, რომ ოპოზიციას არანაირი საპროტესტო მუხტის გამოწვევა და ტემპერატურის ანევა არ შეუძლია. რამდენად რთული პროცესია წინ?

– პრიმიტივიზმამდე მარტივია ყველაფერი: თუ ოპოზიცია ერთიანობის შენარჩუნებას შეძლებს, ის ამ ბრძოლას მოიგებს. ახლა მთელი ეს პროცესი პრინციპის საკითხი უფროა, ვიდრე კონიუნქტურის. ეს უფრო ლუსტრაციის პროცესია, ვიდრე რეალური ბრძოლის.

მთავარია, ნაციონალური მოძრაობიდან მილიონერებმა არ დაიწყონ პარლამენტის მიმართულებით მოძრაობა. მათ მეტი მოტივაცია აქვთ, რომ ეს ნაბიჯი გადადგან, რადგან კარგად იციან, ოთხი წელი მათ ბიზნესს საფინანსო პოლიცია ტყუპისცალივით მიეწებება. რამდენად იქნება ნაციონალური მოძრაობა პრინციპული, უფრო ზუსტად კი მათ რიგებში, ეს იქნება გადამწყვეტი. ძალიან მუხანათური სვლა იყო „ქართული ოცნების“ მხრიდან მანდატების შეჩერების საკითხის ჩაგდება. მანდატები რომ გაეუქმებინათ, საკითხი უკვე გადაწყვეტილი იქნებოდა ან ისე, ან ასე. ხელისუფლებამ ცდუნება არ მოკლა. ცდუნებას ვინ გაუძლებს და ვინ – არა, რთული სათქმელია. ვნახოთ.

„ოცნების“ ყურით მოთრეული არგუმენტია, როცა დეპუტატებს ეუბნებიან, შენ ხალხმა აგირჩია და ვალდებული ხარ, პარლამენტში შემოხვიდეო“

ყურით მოთრეული არგუმენტია, როდესაც ამ დეპუტატებს ეუბნებიან, შენ ხალხმა აგირჩია და ვალდებული ხარ, პარლამენტში შემოხვიდეო. ხალხმა რისთვისაც აირჩია ოპოზიცია, იმას იქ ისინი ვერ გააკეთებენ. ამას ეუბნება ოპოზიცია ხელისუფლებას და ყველას, საერთაშორისო საზოგადოებას, რომელიც ითხოვს მათ პარლამენტში შესვლას.

90-იანი წლებიდან ხომ ვიცით, მოვლენებზე ზეგავლენის რა შანსი აქვს საპარლამენტო უმცირესობას?! ეს ხომ საქართველოში ცხადზე ცხადია?! აგრესიული უმრავლესობა ბატონობს ყველაფერზე. ასეა შევარდნაძის პირველი პარლამენტიდან მოყოლებული, როდესაც მან კარი ფარ-

თოდ გააღო და ყველა პარლამენტში შეიყვანა. მაშინ ასეთი ლოზუნგი ჰქონდა: არც ერთი პოლიტიკოსი ქუჩაში, ყველა პარლამენტში.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და ღია დიქტატურებში არგუმენტებს არავითარი აზრი არა აქვს. აქ გადამწყვეტი მხოლოდ ძალაა. ჩვენთანაც ასეა. ხომ იცით, ძალა აღმართს ხნავს.

– ოპოზიციურ პარტიებშიც გადალაგების პროცესი დაიწყო. რისთვის ემზადება ოპოზიცია?

– წინ ურთულესი პროცესია. ძალიან ძნიმე გზის გავლა მოუწევს ოპოზიციას. ამ გამოცდას ალბათ ბევრი ვერ ჩააბარებს. ეს არ არის მარტივი გზა. ერთი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, პური არ არის, სანახაობა კი ნამდვილად იქნება ყველა მიმართულებით.

„ელისაშვილსა და „გირჩს“ ოპოზიციად მამუკა მდინარაძეც არ თვლის“

„აქციების ორგანიზატორი მეც ვიყავი... 50 ათას კაცს გამოვიყვანთ“

„ახალი თაობის“ კითხვებს ანზორ ბიწაძე პასუხობს.

ნონა ცაბაძე

– ანზორ, ევროპელი პარტნიორების შეფასებებში, ყველა მათ ანგარიშში მოწოდებაა ოპოზიციისადმი, რომ დაუბრუნდნენ საპარლამენტო საქმიანობას. ოპოზიციას ჰქონდა მოლოდინი, რომ დასავლეთი მათ მხარეს დაიჭერდა, თუმცა ეს მოლოდინი არ გამართლდა. რამდენად დაუშვა ოპოზიციამ შეცდომა პარლამენტში არშესვლით და თუ არსებობს უკანდასახევი გზა?

– პირველ რიგში უნდა ვთქვათ, რომ უკანდასახევი გზა არ არის. ეს უკანდასახევი გზა ოპოზიციამ შეგნებულად არ დაიტოვა, რაც იყო ძალიან გაბედული და სწორი პოლიტიკური ნაბიჯი მისი მხრიდან, იმიტომ რომ ახლა პარლამენტში შესვლა ნიშნავდა ლეგიტიმაციას იმ არჩევნებისა, რომელიც არ გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას და გარანტირებულად გვაძლევდა ისეთ რეალობას, რომ 2024 წელსაც ზუსტად ისე ჩატარდებოდა არჩევნები, როგორც ჩატარდა და ისევ ბიძინა ივანიშვილის ნებაზე იქნებოდა დამოკიდებული, ვინ რამდენ მანდატს მიიღებდა. თუ ვინმეს ჰქონდა მოლოდინი, რომ დასავლეთი მის მხარეს დაიჭერდა, დასავლეთი არავის მხარეს არ დაიჭერს. ეს ცალსახაა.

– მაშინ რით ხსნით მათ პოზიციასა და განცხადებებს?

– უბრალოდ, დასავლეთში ჩვენი პარტნიორების ნაწილს მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე უმჯობესი იქნებოდა, ეს ბრძოლა გაგრძელებულიყო საპარლამენტო ტრიბუნაზე, თუმცა არის ჩვენი პარტნიორების მეორე ნაწილი, რომელსაც ძალიან კარგად ესმის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა დგას ეგზისტენციალური საფრთხის წინაშე და გაგებით ეკიდებიან ამ ნაბიჯს. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას და დავანახებთ ჩვენს პარტნიორებს, რომ ამ სიტუაციაში პარლამენტში პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელება შეუძლებელია.

– ამბობთ, რომ დასავლეთს დაანახებთ, ამის პარალელურად ისევ თქვენი კოლეგებისგან, ოპოზიციონერებისგან ვისმენთ შეფასებებს, ოპოზიცია ვერ უმტკიცებს დასავლელ პარტნიორებს, რომ არჩევნები გაყალბდა. ასეა?

– არა, ეს ოპოზიციონერებისგან არ მოგვისმენია, ეს მოვისმინეთ „ქართული ოცნების“ პარტნიორებისგან, ალეკო ელისაშვილისგან და „გირჩის“ განაყოფისგან. მსგავსი რამ სხვას არ უთქვამს.

– მათ ოპოზიციად აღარ თვლით?

– არათუ მე აღარ ვთვლი ოპოზიციად, მათ ოპოზიციად აღარ თვლის მამუკა მდინარაძეც. მდინარაძე აცხადებს, რომ როდესაც აცხადებენ, 52%-მა ოპოზიციას მისცა ხმა და 48%-მა ჩვენ, ეს მართალი არ არის, „გირჩი“ და ალეკო ელისაშვილის პარტია აქეთ მხარეს არიანო. უცებ დაიმატა მათი 6%. ვულოცავ ყველა იმ ადამიანს, ვინც შეცდა და ალეკო ელისაშვილს მისცა ხმა ან „გირჩს“. მამუკა მდინარაძემ ისინი ოფიციალურად მიათვალა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს. თავად ხელისუფლება არ თვლის მათ ოპოზიციად. მე მათ ყოველთვის ოპოზიციის ოპოზიციად ვთვლიდი, თუმცა, როცა ამას ვამბობდი, ბევრმა ადამიანმა არ გაიზიარა ჩემი მოსაზრება. რამდენიმე რაუნდი იყო ელჩებთან და პირველივე რაუნდზე წარადგინა რამდენიმე ოპოზიციონერმა ლიდერმა გაყალბების აბსოლუტური დამადასტურებელი მასალები. ესეც რომ არ იყოს, მართლა ხომ არ ბნელა? დარღვევების უამრავი მასალა გავრცელდა. თუ ვინმეს არ უნდა ამის დანახვა, ის ვერც დაინახავს.

– ანზორ, როდესაც საუბარია პარლამენტში არშესვლაზე, მუსირებს აზრი, რომ ის ოპოზიციური პარტიები, რომლებმაც ვერ გადალახეს ბარიერი და ვერ მოხვდებოდნენ პარლამენტში, მეტად აგრესიულები და რადიკალურები არიან. სწორედ მათი ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ დანარჩენი ოპოზიციური პარტიები და ახლა ბულინგისა და შეურაცხყოფის შიშით ვეღარ შედიან პარლამენტ შიო. ამას რით უპასუხებთ? თქვენ დასკვნა არაფერი გაქვთ და ამიტომ ხართ ასეთი რადიკალურები?

– სიმართლე გითხრათ, ახლა პარლამენტში რომ ზოგიერთი სუბიექტი შევიდა, იმათზე მეტი რატომ არ მაქვს დასაკარგი, ნამდვილად არ მესმის, მაგრამ ზოგადად ეს არის შეურაცხყოფა ჩვენი კოლეგებისა, ანუ გამოდის, რომ ჩვენს კოლეგებს ნებისყოფა არა აქვთ, ზოგიერთი კოლეგის ეშინიათ და მათი ბულინგით არიან დაკომპლექსებული?!

– ახლაც გამოდის ინფორმაციები, რომ 20 დეპუტატთან აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკება და არის მოლოდინი, რომ ისინი შევლენ პარლამენტში. ვინ არის ეს 20 დეპუტატი?

– არა, არანაირი 20 დეპუტატი არ არსებობს. არის რამდენიმე დეპუტატი, მაგრამ ამას მოლაპარაკება არ ჰქვია. ამას ჰქვია ვაჭრობა, მოდი შემოდი და ამას მოგცემ, იმას მოგცემ. თუმცა ამასაც ვერ აკეთებენ. დიახ, თქვენი კითხვა ლეგიტიმურია. ეს კითხვები მართლაც მუსირებს „ქართული ოცნების“ წყალობით. ამდენ ბინძურ ჭორაობას მე, მაგალითად, ავდგებოდი ჩვენი საზოგადოების ადგილზე და ხაზს გავუსვამდი იმ გარემოებას, რომ მანდატმიღებული დეპუტატების 90%-მა უარი თქვა კომფორტზე, ხელფასზე, მივლინებაზე, თანამდებობაზე და ასე შემდეგ. ეს კი ძალიან წინ გადადგმული ნაბიჯია. რაც დავიბადე, მხოლოდ ის მესმის ჩვენი საზოგადოებისგან, რომ პოლიტიკოსებს საკუთარი თავისა და კომფორტის მეტი არაფერი აინტერესებთ. ა ბატონო, ყველა პრივილეგიაზე უარი თქვა პოლიტიკოსების 90%-მა პრინციპების გამო და ახლა ეს არ მოსწონთ. რომელი სხვა სფეროში მოღვაწე 90% იტყოდა უარს ყველანაირ პრივილეგიასა და დაფინანსებაზე?! კი, საზოგადოებამ უნდა აკრიტიკოს პოლიტიკოსები, მაგრამ რაღაცას დანახ-

ანზორ ბიწაძე: „არავის სჯერა, რომ ივანიშვილი წავიდა“

ვაც სჭირდება.

– არის საპირისპირო პოზიცია, რომ ოპოზიციას საპარლამენტო ტრიბუნიდან მეტის გაკეთება შეეძლო, ვიდრე ქუჩიდან. ქუჩაში დარჩენილებს ნაკლებად უსმენენ. არც მხარდაჭერა გაქვთ დიდი. არ გამოდის ხალხი ქუჩაში. როდესაც ცხელი გაზაფხულით იმუქრებით, რის იმედი გაქვთ? ამბობენ, რომ საზოგადოება ამ გამოწვევას არ აჰყვება. რის იმედი გაქვთ, გულწრფელად მითხარით!

– გულწრფელად გეტყვით, რომ პოლიტიკოსებს კი არ უნდა აჰყვეს საზოგადოება, საზოგადოებას უნდა აჰყვნენ პოლიტიკოსები და შეასრულონ მათი დაკვეთა. ხელოვნურად პოლიტიკოსებზე „აყოლით“ არ კეთდება ეს საქმე.

– ხედავთ ამ დაკვეთას საზოგადოებაში?

– ეს საზოგადოების გადასაწყვეტია. ჯერჯერობით რამდენიმე აქცია იყო არჩევნების შემდეგ და საკმაოდ მრავალრიცხოვანი, მაგრამ, ბუნებრივია, პანდემიის გამო ეს აქციები შეწყდა. საზოგადოება ნამდვილად ვერ გამოვიდოდა ქუჩაში უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში. საზოგადოებრივი ტრანსპორტიც კი არ იყო, ჩაკეტილი იყო ქვეყანა. როგორ უნდა გაეპროტესტებინა, როცა ტრანსპორტიც კი არ დადიოდა.

– როდესაც პროტესტი მაღალია, ყველაფერი შეიძლება. როდესაც საბაკშვილი მიუღებელი იყო, ვხედავდით, რაც ხდებოდა თბილისში.

– როდესაც ამას ხედავდით, ამ აქციების ერთ-ერთი უშუალო და მთავარი ორგანიზატორი სწორედ მე ვიყავი. არ არის ეს ასე ადვილი, მერწმუნეთ. პროტესტს სჭირდება ორგანიზება და ეს პანდემიის დროს შეუძლებელი იყო.

– არც გაზაფხულზე გაივლის ასე მარტივად პანდემია და გამოდის, რომ არც გაზაფხული გვექნება პოლიტიკურად ცხელი.

– ციფრები დაუბრუნდა ნორმალურ ნიშნულს, გაიხსნა საზოგადოებრივი ტრანსპორტი და უფრო ადეკვატური იქნება ხალხმრავალი შეკრებები. ისე, პანდემიას თუ შევხედავთ, აგვისტოს ბოლოს განაცხადა ბატონმა გამყრელიძემ, ოქტომბრის ბოლოს– ნოემბრის დასაწყისში პიკი იქნებაო და სწორედ ამ დროს ჩაატარა არჩევნები ხელისუფლებამ და ორი მილიონი კაცი მოიყვანა საარჩევნო უბნებთან. მათ თუ ორი მილიონი გამოიყვანეს, არ მესმის, რატომ არ შეიძლება, რომ ჩვენ 50 ათასი გამოვიყვანოთ. ყველაფერი საზოგადოებაზეა დამოკიდებული, ხელოვნურად პროტესტი ვერ მოხდება.

– ხედავთ ამ მუხტს საზოგადოებაში?

– ამის ყველა წინაპირობა არსებობს, დაწყებული ერთპარტიული პარლამენტიდან, დამთავრებული სასამართლოს არარსებობითა და არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით, რათა საზოგადოებამ პროტესტი გამოხატოს. როგორ შეიძლება, სასამართლოს თავისუფლება საზოგადოებას არ აწუხებდეს?! ოპოზიციურ სპექტრს რაც შეეხება, ოპოზიცია მოიქცა უპრეცედენტოდ პრინციპულად და ერთსულოვანია თავის გადაწყვეტილებებში.

– ამბობთ, პრინციპული და ერთსულოვანიაო, არადა, შიგნიდან სულ სხვა ხმები გამოდის. რა ხდება დღეს ოპოზიციაში? ვხედავთ, რომ შეუთანხმებლობის გამო ლიდერები მიდიან პარტიიდან. დავით ბაქრაძე წავიდა „ევროპული საქართველოდან“, ასევე საუბარია გიგი უგულავას წასვლაზეც. წავიდნენ თუ უშვებენ, ეს კიდევ ცალკე თემაა. „ლელოდან“ დავით უსუფაშვილი წავიდა. ეს ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ ვერ თანხმდებიან საკუთარ პარტიაშიც კი. რომელ ერთსულოვნებაზე საუბრობთ?

– მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ არც ბატონი დავით ბაქრაძე და არც ბატონი დავით უსუფაშვილი პარლამენტში შესვლაზე არც კი ფიქრობენ და ამიტომ არ გაიყო მათი აზრები. თუკი ცალკეული პოლიტიკოსი გადაწყვეტს, სხვა ტაქტიკური გზით აირჩიოს თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა, მაგრამ ისევ და ისევ ოპოზიციურ ფარგლებში, ეს არაფერს შეცვლის. ოპოზიცია ყველა დეტალზე ერთიანი, ბუნებრივია, ვერ იქნება. ერთსულოვნება არის ერთ მთავარ საკითხზე, რომ ეს ხელისუფლება უნდა შევცვალოთ ვადამდელი არჩევნების გზით. ოპოზიციას ხელში ჯადოსნური ჯოხი არ უჭირავს, ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ და მოვიპოვოთ ვადამდელი არჩევნები.

– ასევე ჟბადაღებულ თემად იქცა გახარიას წასვლა-არწასვლის საკითხი. უკვე დარწმუნებით საუბრობენ იმაზე, რომ გახარია გაზაფხულზე მიდის. გაუშვებენ გახარიას?

– წელან ოპოზიციაზე ვსაუბრობდით და, თუ რამე იქნება ოპოზიციის შეცდომა და არაგონივრული მოქმედება, იქნება ის, რომ ჩვენ ახლა დავსხდეთ და ვიმარჩიელოთ, გახარია წავა თუ არ წავა. გახარიას აქვს თუ არა დაპირისპირება კალაძესთან? ოპოზიციის მხრიდან ამაზე საუბარი სწორი არ არის. ეს არ არის ოპოზიციის საქმე. ოპოზიციის მთავარი სამიზნე ვადამდელი არჩევნები და არსებული ხელისუფლებაა.

– ბევრი თანხმდება იმ საკითხზე, რომ ხელისუფლება ვადამდელ არჩევნებზე არ წავა.

– თავისი ნებით, რა თქმა უნდა, არ წავა. ჩვენ უნდა წამოვიყვანოთ. თავისი ნებით ეს ქვეყანა ჯერ არავის დაუთმია და გამონაკლისი ვერც ოლიგარქის პარტია იქნება.

– ოლიგარქი წავიდა.

– სად წავიდა ოლიგარქი? ვის სჯერა, რომ წავიდა? რანაირად წავიდა, ამიხსნას ვინმემ. ზოგადად, ჭორებზე დაყრდნობით საუბარი არ მჩვევია, თუმცა, როგორ წავიდა კაცი, რომლის პირადი ბანკირი სუსის უფროსია, დაცვის უფროსი შინაგან საქმეთა მინისტრია და საკუთარი თანაშემწე თავდაცვის მინისტრია. აი, ეს კაცი თუ წასულია, მაშინ მოსული ვინღაა, მითხარით.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ივანიშვილი გახარიასაც პირველობას ჰპირდებოდა და კობახიძესაც“

გოგი წულაია: „ხელისუფლების შიგნით არსებული უთანხმოებები გარეთ გამოვიდა“

მარიამ მჭედლიშვილი

მეათე მოწვევის პარლამენტი ისევ არასრულფასოვნად ითვლება. მმართველმა პარტიამ არ დააკმაყოფილა ოპოზიციის თხოვნა და არ გაუუქმა სადეპუტატო მანდატები ურჩ ოპოზიციონერებს. პარლამენტში შესვლას არ გამორიცხავს ხვიჩიას „გირჩი“. ამბობენ, რომ „ქართულ ოცნებას“ ყველაზე მეტად პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის თუნდაც რამდენიმე წევრის ყოფნის ინტერესი აქვს. „ოცნების“ მომხრეები ვარაუდობენ, რომ ნაცმოძრაობაში არსებული განხეთქილება ამ თემაზე პარტიას კიდევ ერთხელ დაყოფს. მმართველი პარტია ოპოზიციას საარჩევნო ბარიერის დაწევასაც ჰპირდება, ამას კი ხმების საჭირო რაოდენობა სჭირდება. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „თავისუფალი საქართველოს“ თანათავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატ გოგი წულაიას.

– ბოლო დღეების საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ თემად საარჩევნო რეფორმა იქცა. ელით, რომ ის ამჯერად მაინც განხორციელდება?

– საარჩევნო რეფორმა გასატარებელია, მაგრამ სულაც არ ველოდები, რომ ეს ახლა მოხდეს. „ოცნებას“ რეფორმა კი არ უნდა, სხვა მიზნები აქვს. ამათ უნდათ, „გირჩმა“ იყვიროს ამ თემაზე და მერე პარლამენტში შევიდეს. პარლამენტში შესვლის მიზეზი ექნებათ – იტყვიან, საარჩევნო რეფორმას ვატარებთო. ამნაირი სულელური თამაში იშვიათად მინახავს. რუსულში არის ერთი სიტყვა – „დეშოვკა“ ანუ იაფფასიანი. ჰოდა, „დეშოვკებს“ გვაყურებინებენ და გვასმენინებენ.

– სხვა „გირჩის“ („გირჩი – მეტი თავისუფლება“) თავმჯდომარე ზურაბ ჯაფარიძემ საკონსტიტუციო სასამართლოში იჩივლა იმის გამო, რომ მას დეპუტატის მანდატი შეუნარჩუნეს. შეიძლება, ამ სასამართლოს სხვებმაც მიმართონ.

– ესეც „ოცნების“ ჩერჩეტობის ბრალია. ხელისუფლებას ჰგონია, რომ ამ მეთოდებით შეავსებს პარლამენტს. ვინ გაიგონა, არჩეული ადამიანები უარს ამბობდნენ მანდატებზე, უმრავლესობა კი ამ მანდატებს ძალით უნარჩუნებდეს?! ტრაგიკომედიაა. ხან საარჩევნო საკითხებს შემოაგდებენ, ხან – მანდატების თემას, რეალურად კი ნამდვილ პრობლემებს ვწყდებით.

– ადრე ამბობდით, რომ უმთავრესია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

– რასაკვირველია. ტერიტორიული პრობლემებიც გვაქვს, მაგრამ ქვეყანაში აშკარა სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული კრიზისია. ხალხია გადასარჩენი. ყველაზე საშინელი ის არის, რომ ხელისუფლება პრობლემებს არ აღიარებს. გამუდმებით უბნევენ ხალხს თავგზას გლობალური საკითხებით. ამათ რომ ჰკითხო, არსებობს პანდემია, რომელმაც მსოფლიო მოიცვა, ის საქართველოსაც შეეხო, ოღონდ, აქაც სხვებს ვჯობივართ. ხელისუფლება იბრიქება და ნამდვილ პრობლემებს მალავს.

– ხელისუფლება როცა ბიზნესის წარმომადგენლებს ხვდება, მაშინაც საუბარია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კომენდანტის საათის გადაწევა. ესეც ხელს უშლის ბიზნესს, მაგრამ იქნებ უფრო ფართოდ და სისტემურად ეფიქრათ ეკონომიკის გადარჩენაზე?

– გეთანხმებით. საქმე ისაა, რომ ფეხებზე ჰკიდიათ ყველაფერი. ხელისუფლების წარმომადგენლები ისე თავდაჯერებულად ლაპარაკობენ, ისეთი კმაყოფილი არიან, თითქოს აწყობილი ქვეყნის უბედნიერეს მოქალაქეებს ეკონტაქტებიან. ხალხი ამ ყველაფერს რომ უყურებს, პანჩურით უნდა ამათი გაყრა. ეს ხელისუფლება მშვიდობიანი გზით უნდა გავუშვათ. სხვა საშველი არაა.

– ესე იგი, რიგგარეშე არჩევნებით? ოპოზიციის ნაწილის აზრით, ვადამდელი არჩევნების გამართვა უკეთესია 2022 წელს.

– ეს ხელისუფლება ბოროტებაა. რაც მალე წავა, მით უკეთესი იქნება. თარიღს ვერ ვიტყვი. კარგია, რომ წელსვე დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები. მომავალ წელსაც შეიძლება. თუ გაჭიმავს, ეს ცუდი იქნება, შეიძლება, უარესი პროცესები წავიდეს. საზოგადოება უნდა გავერთიანდეთ და ვიბრძოლოთ „ოცნების“ მშვიდობიანად გასაშვებად.

– ბიძინა ივანიშვილის წასვლის არ გჯერათ. თუნდაც ის ჩრდილში იყოს, რეალობა ხომ მაინც შეიცვალა?

– შეიცვალა ის, რომ უთანხმოება „ოცნებიდან“ გარეთ გამოვიდა. ახლა ივანიშვილი ამათ დააჭმევინებს ერთმანეთს. ადრე ცალ-ცალკე ყველას პირველობას ჰპირდებოდა.

– პირველობას ბევრს ვერ შეჰპირდებოდა.

– კობახიძესა და გახარიას ჰპირდებოდა პირველობას, გარანტიებს აძლევდა. ივანიშვილი ორივეს ცალ-ცალკე ეუბნებოდა, მხარში ამომდექით და ძალაუფლება გექნებათო. ახლა სიტუაციის გარკვევის დროა, ზოგს გასწევს, ზოგს გამოსწევს. ისე, კობახიძეც ფეხებზე ჰკიდია, გახარიაც და ქვეყანაც. დროზე უნდა შევცვალოთ ხელისუფლება, თორემ ეს კაცი ვის მიჰყიდის საქართველოს, არავინ იცის. საზოგადოებამ უნდა გამოიღვიძოს.

„ნაცმოძრაობა მთელ პოლიტიკურ სპექტრს შეჭმას უპირებს“

მამუკა ტუსკაძე: „ოპოზიციის იმ დეპუტატებს, რომლებიც პარლამენტში არ შედიან, უფლებამოსილება ძალიან მარტივად უნდა შეუწყვიტონ“

გულიკო ბალაძე

როგორ შეიძლება, შეივსოს პარლამენტი 150 დეპუტატამდე რიგი ოპოზიციური პარტიების დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში? რა ემართებათ ნაცმოძრაობასთან კავშირში მყოფ პარტიებს? „ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, პარლამენტის შემადგენლობას ორი პატარა პარტიის წარმომადგენლები დაემატა, მაგრამ ჯერჯერობით პარლამენტი ოპოზიციის დიდი ნაწილის გარეშე მუშაობს. ამ ფონზე მმართველი პარტია ოპოზიციას საარჩევნო კოდექსში ცვლილებებსა და ბარიერის დაწევას სთავაზობს. როგორ აფასებთ მმართველი პარტიის შეთავაზებებს?

– ხელისუფლების ახლანდელი შემოთავაზება ყველაზე ადეკვატურია, რაც ბოლო სამი თვის განმავლობაში მათგან ისმოდა. საქართველოს პარლამენტში ოპოზიციის გარკვეული ჯგუფების შესვლამ პარლამენტის ფუნქციონირება გააუმჯობესა და თავის კალაპოტში დააბრუნა. მიუხედავად იმისა, რომ 3-4 კაცზეა საუბარი, პარლამენტში მათმა შესვლამ პარლამენტს თავისი რიტმი დაუბრუნა.

შეიქმნა საპარლამენტო არჩევნების დროს არსებული ხარვეზების დამდგენი კომისია, რომელშიც ჩვენი პოლიტიკური მოძრაობაც არის ჩართული. თუ დადგინდა არჩევნების შედეგების 1%-იანი ხარვეზი, ხელისუფლება ცალმხრივად აცხადებს, რომ რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს. ვნახოთ, რა შედეგს დავდებთ. იმედი მაქვს, სიმართლე დადგინდება. ხარვეზი 1%-ზე მეტი იქნება თუ 1%-ზე ნაკლები, ჩვენი პოლიტიკური მოძრაობისთვის მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ სიმართლე დადგინდება. ხელისუფლების მხრიდან გადმოდგმული ნაბიჯი ჩვენი მხრიდან ადეკვატურად აღიქმება.

მთავარია, ჭეშმარიტება დადგინდეს. ჭეშმარიტება გაჩვენებს, რა უნდა გაკეთდეს. თუ გადახრა „ოცნების“ სასარგებლოდ 1%-ზე მეტი იქნება, რიგგარეშე არჩევნები დაინიშნება, თუ ცდომილება 1%-ზე ნაკლები იქნება, საპარლამენტო ცხოვრებას გავაგრძელებთ.

– ხელისუფლებას, ოპოზიციის მოთხოვნის შესაბამისად, ხელახალი არჩევნები რომ დაენიშნა, ისევ იმ საარჩევნო კოდექსით უნდა ჩატარებულიყო, რაც არის. ვის აწყობდა და აწყობს ეს?

– ეს ერთ-ორ პარტიას აწყობს. ახლა პარლამენტში მეორე კომისიაცაა შექმნილი, რომელიც მუშაობს საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე. ჩვენი პოლიტიკური მოძრაობა ამაშიც არის ჩართული. ვფიქრობთ, საბოლოო ჯამში, დაიდება კარგი პროდუქცია. ცვლილებები თვითმმართველობის არჩევნებისთვისაც ხორციელდება და ახალ და პატარა პარტიებს საკრებულოებში შესვლის საშუალება მიეცემათ. ამისთვის ბარიერის დაწევა იქნება საჭირო. გვპირდებიან, რომ ბარიერი დაიწევს. 2,5%-ზეა საუბარი. იცვლება პროპორციული და მაჟორიტარული კვოტების თანაფარდობაც. მაგალითად, თბილისში 25/25-ზე თანაფარდობით ტარდებოდა არჩევნები. ახლა ეს თანაფარდობაც იცვლება 40/10-ზე პროპორციით. 40 იქნება პროპორციული სიით გასული დეპუტატი, 10 – მაჟორიტარული სიით.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლება ხელს უწყობს ახალ პოლიტიკურ მოძრაობებს, კონსტრუქციულ პოლიტიკურ ძალებს ქართულ პოლიტიკურ რეალობაში თავის დასამკვიდრებლად.

– საარჩევნო ბარიერის დაწევას ხომ საკონსტიტუციო უმრავლესობა სჭირდება?

– საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტის არჩევნებისთვის ბარიერის დაწევას სჭირდება, რაც ცოტა რთულ საქმედ მიმაჩნია. სავარაუდოდ, მმართველი პარტია როგორც უნდა დასთანხმდეს, ცვლილების განხორციელება ფიზიკურად შეუძლებელი იქნება, რადგან საქართველოს პარლამენტში 113 ისეთი დეპუტატი არ გვყავს, რომელიც სხდომას დაესწრება და საკონსტიტუციო ცვლილებას ხმას მისცემს. შესაძლებელია, პარლამენტში 99 დეპუტატი დარჩეს. ამ წუთის მონაცემებით, პარლამენტში 150 დეპუტატია, მაგრამ სხდომებს 96 ესწრება.

– ისე, ნაცმოძრაობას ბარიერის ცვლილება რატომ უნდა აინტერესებდეს, მისთვის ბარიერის გადალახვა პრობლემა არ არის. ამიტომ სავაჭრო თემად ამას არ ხდის. ამ ვითარებაში იმ ძალების ქცევაა გასაკვირი, რომლებსაც საპარლამენტო არჩევნებში 3-4% ან ნაკლები ხმები მიიღეს.

– დიახ, გასაკვირია მათი ქცევა, ვინც 3%-იან ბარიერს ძლივს სცდება ან არ სცდება. ისინი აჰყვნენ ნაცმოძრაობის რიტორიკას და არა მარტო რიტორიკას. ნაცმოძრაობა არის ძალა, რომელიც მთელ პოლიტიკურ სპექტრს შეჭმას უპირებს.

– პოლიტიკური პარტიების შეჭმის მეთოდი ნაცმოძრაობისთვის ახალი არ არის. ნაცმოძრაობამ თავის დროზე ჟვანიასა და ბურჯანაძის პარტია ხომ შეჭამა?

– ნაცმოძრაობამ ჟვანიას, ბურჯანაძისა და კიდევ რამდენიმე პარტია შეჭამა. ახლაც რამდენიმე პარტია შეჭამა, რომლებიც მათთან ბლოკში იყვნენ, მაგალითად, ედპ, დავითაიას პარტია და სხვები. ნაცმოძრაობას ახლა თავისი ბლოკის გარეთ მყოფი პარტიების შეჭმა უნდა. რეალურად, გამოსდის კიდევაც, რადგან ძლიერი, ხელისუფლებაში ნამყოფი პარტიაა, მეტი რესურსი აქვს და პარტიებს ჩვეულებრივად ისე ჭამს, წყლის დაყოლებაც არ უნდა.

ნაცმოძრაობისთვის პატარა პარტიების შეჭმა ბუნებრივი და ჩვეულებრივი მოვლენაა. ამიტომ მართლა გასაკვირია, პატარა და ახალ პარტიებს რატომ არ უნდათ საარჩევნო კოდექსის გასაუმჯობესებლად თანამშრომლობა, თუნდაც პარლამენტს გარეთ მყოფ პარტიებს, რომლებსაც ბარიერის გადალახვა გაგვიჭირდა, საარჩევნო კოდექსის ცვლილების საკითხში რომ გვეთანამშრომლა, უკეთესი იქნებოდა.

– როგორც ვიცი, თქვენ წარადგინეთ საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საარჩევნო კოდექსში ცვლილების შეტანას გულისხმობდა. კონკრეტულად, რას ეხება ეს ინიციატივა?

– საქართველოს პარლამენტში წარვადგინეთ საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საარჩევნო კოდექსის 130-ე მუხლში ცვლილებას ითვალისწინებს. მოვითხოვეთ, ეს ცვლილება დაჩქარებული წესით მიიღონ. პარლამენტს შეუძლია, 1 თვეში მოახდინოს ცვლილება.

– 130-ე მუხლში ცვლილება რას ითვალისწინებს?

– მოგეხსენებათ, თუ მაჟორიტარი გადადგებოდა ან რაიმე მიზეზით გამოაკლდებოდა, შუალედური არჩევნები ტარდებოდა გამოკლებულის შესავსებად. ამ შემთხვევაში კანონპროექტში მითითებული მაქვს, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობას საფრთხე რომ არ შეექმნას, თუ მოხდა ისე, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო პარლამენტის სიით შემადგენლობას 38-39 კაცი დააკლდა (ცესკოს კი სიები აღარ აქვს, პარლამენტს კანდიდატები მიაწოდოს), ჩატარდეს რიგგარეშე შუალედური არჩევნები და გათამაშდეს მხოლოდ იმდენი მანდატი, რამდენი დეპუტატიც დააკლდება და რამდენი ადგილიც გათავისუფლდება 150-კაციან პარლამენტში. თუ 38 დეპუტატი დააკლდება, საქართველოს მასშტაბით 38 მანდატი გათამაშდეს. არჩევნები პროპორციული წესით ჩატარდეს, სადაც ერთი ბიულეტენი იქნება.

თუ საჭიროება შეიქმნება, ასეთი არჩევნები ორი თვის ვადაში ჩატარდეს. ახლა „ქართული ოცნება“ კანონს არღვევს, 51 ადამიანს უფლებამოსილებას რომ არ უწყვეტს.

– განაცხადეს, ოპოზიცია საბოტაჟს ახორციელებსო. უფლებამოსილების შეწყვეტაზე უარს „ოცნებამ“ საფუძვლად საბოტაჟი დაუდო.

– ჩემი კანონპროექტი მათი საბოტაჟის საპირწონეა. ოპოზიციის იმ დეპუტატებს, რომლებიც პარლამენტში არ შედიან, ძალიან მარტივად უნდა შეუწყვიტონ უფლებამოსილება. როგორც კი საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობა 99-მდე დავა, შესაბამისად, 51 მანდატზე უნდა გამოცხადდეს შუალედური არჩევნები და მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა იმ პარტიამ, რომლებიც საქართველოს პარლამენტში არ არიან წარმოდგენილი.

– თქვენი კანონპროექტით ამ ცვლილებას საკონსტიტუციო უმრავლესობა არ სჭირდება?

– არა, მხოლოდ 76 ხმა სჭირდება. ეს ცვლილება იმიტომ მოვიფიქრე, რომ ჩვენ ვართ ოკუპაციის პირობებში მყოფი სახელმწიფო. მაგალითად, 2021-2024 წლებში აფხაზებმა საქართველოსთან ურთიერთობის დარეგულირება, ფედერაციაში ან სხვა ფორმით ჩვენთან ყოფნა ან კიდევ რაღაც სახით ურთიერთობის დამყარება რომ მოიფიქრონ, ბევრი საკითხია, რომლებსაც სჭირდება მაღალი დონის ლეგიტიმაცია და საკონსტიტუციო უმრავლესობის ხმა. ჩვენ ქვეყანაში არსებული საბოტაჟნიკების გამო ვერ ვახორციელებთ ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ცვლილებებს.

ვთქვათ, ხვალ ბუანიამ ჩვენკენ ნაბიჯი რომ გადმოდგას, შესაბამის კანონმდებლობას ვერ ვახვედრებთ. ეს, პირველ რიგში – ნაცმოძრაობის, მაგრამ, ამავე დროს, ხელისუფლების ბრალიც იქნება.

– ხელისუფლების რატომ?

– იმიტომ, რომ წურბელები დროულად უნდა მოიშორო. ახლა ნაცმოძრაობის პოლიტიკური ველიდან გაყვანის ძალიან კარგი მომენტია. მოვუწოდებ ხელისუფლებას, ნაცმოძრაობა პოლიტიკური ბრძოლის ველიდან დროულად გაიყვანოს. ამას პარლამენტში არშესვლით თვითონ ნაცმოძრაობაც უწყობს ხელს.

– ისე, მათი დიდი უმრავლესობა, ვინც 2008-ში მანდატები დაჭრა, პოლიტიკური სივრციდანაც გაქრა.

– მე რომ კობახიძე-მდინარაძე-თალაკვაძის ადგილზე ვიყო, მათ უფლებამოსილებას ნამდვილად შევუწყვეტდი, რითაც 51 მანდატი გამოთავისუფლდებოდა (პატარა პარტიებს თუ უნდათ, თავი შეიჭამონ, ნაცმოძრაობას პოლიტიკურ სამარეში ჩაჰყვნენ), 130-ე მუხლში ცვლილებას შევიტანდი და პარლამენტის შესავსებად გამოთავისუფლებულ 51 მანდატზე შუალედურ პროპორციულ არჩევნებს ჩავატარებდი მთელი საქართველოს მასშტაბით.

რადგან საკონსტიტუციო უმრავლესობას დეპუტატთა რაოდენობა აკლდება, გამოკლებული დეპუტატების ადგილისთვის 150 დეპუტატამდე შესავსებად გამოვაცხადებდი შუალედურ არჩევნებს. შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმ პარტიებს უნდა ჰქონდეთ, რომლებმაც ბარიერი ვერ გადალახეს და ოქტომბრის არჩევნებში რეგისტრირებული იყვნენ ცესკოში.

ქობულეთში 14 წლის გოგონა გარდაცვლილი იპოვეს

გუშინ, 10 თებერვალს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში 14 წლის გოგონა გარდაცვლილი იპოვეს.

ადგილზე სამართალდამცველები მუშაობდნენ.

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ევროპაში ოპერაციები „კანონიერი ქურდი“ და „ბრატჭვა-35“ ჩატარდა

იტალიაში 23 ქართველი დააკავეს, საფრანგეთში – 17

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აქტიური მონაწილეობით, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს პოლიციის ატაშეების ჩართულობით, იტალიასა და საფრანგეთში სხვადასხვა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები – საქართველოს მოქალაქეები დააკავეს.

2021 წლის 9 თებერვალს, იტალიაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშეს უშუალო ჩართულობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, იტალიის რესპუბლიკის შსს-ს ცენტრალური ოპერატიული სამსახურის, იტალიის რესპუბლიკის შსს-ს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტის რეჯიო ემილიას სამხარეო პოლიციისა და ინტერპოლის თანამშრომლებმა, რამდენიმეთვიანი ინტენსიური ოპერატიული, სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოპერაცია „კანონიერი ქურდის“ ფარგლებში, გამოავლინეს და დააკავეს იტალიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე – 23, პოლონეთში – 2, საბერძნეთში – 1, ბელგიაში 1 და სლოვენიაში – საქართველოს 1 მოქალაქე, რომლებიც იტალიის რესპუბლიკისა და ევროკავშირის ტერიტორიაზე აქტიურად სჩადიოდნენ დანაშაულებრივ ქმედებებს.

გამოძიებით დადგენილია, რომ დაკავებული საქართველოს მოქალაქეები ჩრდილოეთ იტალიაში ბინებს ქურდავდნენ, მოპარულ ნივთებს, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, კონკრეტულ ადგილებზე აბარებდნენ, ნაქურდალი ნივთების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხით კი იტალიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგალური ბიზნესსაქმიანობის წამოწყებას ცდილობდნენ.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების გამო იტალიის რესპუბლიკის საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტმა საქართველოს მოქალაქეების მიმართ საქმე აღძრა იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 416-ე, 624-ე და 648-ე მუხლებით, რაც გულისხმობს კრიმინალური დაჯგუფების ჩამოყალიბებას, ქურდობას, ასევე, ფულის გათეთრებას და მაქსიმალური სანქციის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7 წლამდე ვადით.

ოპერაცია „კანონიერი ქურდის“ ფარგლებში, ქართველმა სამართალდამცველებმა, 6-თვიანი თანამშრომლობის შედეგად, იტალიურ მხარესთან საქართველოს შსს-ს პოლიციის ატაშეს უშუალო მონაწილეობით, არაერთხელ გაცვალეს ოპერატიული ინფორმაცია საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით, რომლებიც ხსენებულ დანაშაულებში მონაწილეობდნენ.

საქართველოს მოქალაქეები, იტალიური საპოლიციო ძალებისათვის კვალის არევის მიზნით, აქტიურად იყენებდნენ გაყალბებულ მონაცემებსა და დოკუმენტაციას. ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებებისა და საქართველოს შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის აქტიური ჩართულობით მოხდა ყველა პიროვნების იდენტიფიცირება, რომლებიც ხსენებულ დანაშაულებში მონაწილეობდნენ.

ოპერაცია „კანონიერი ქურდი“ მხოლოდ ნაწილია იმ მასშტაბური ღონისძიებებისა, რომლებსაც ქართველი და იტალიელი სამართალდამცველები ერთობლივად ახორციელებენ.

ასევე, 2021 წლის 9 თებერვალს საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშესა და სამინისტროს მიერ საფრანგეთის ეროვნულ პოლიციაში მივლენილი ქართველი მეკავშირე ოფიცრის უშუალო ჩართულობით, რამდენიმეთვიანი ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ერთობლივი ოპერაცია „ბრატჭვა-35“ ჩატარდა.

ოპერაციის ფარგლებში, საფრანგეთის რესპუბლიკის ქალაქებში: როშ-სურ-იონში, ნუარში, ანჟერში, ბორდოსა და რენში ქართული წარმოშობის „კანონიერი ქურდი“ კ.ა. და საქართველოს 17 მოქალაქე დააკავეს.

ფრანგი სამართალდამცველების მიერ დაკავებული პირები ორგანიზებული დაჯგუფების წევრები იყვნენ და საფრანგეთისა და ევროკავშირის სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე აქტიურად ეწეოდნენ დანაშაულებრივ საქმიანობას. კერძოდ, მათ ბრალად ედებათ საფრანგეთის რესპუბლიკის სსკ-ის 131-ე, 132-ე, 311-ე, 321-ე, 450-ე მუხლებითა და საბაჟო კოდექსის 414-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები: ორგანიზებული ჯგუფის მიერ საფრანგეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სავაჭრო ობიექტებში ჩადენილი ქურდობის არაერთი ეპიზოდი, ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებაში მონაწილეობა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა/გასაღება და კონტრაბანდული თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობა, რაც მაქსიმალური სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 10 წლის ვადით და ჯარიმას 375 ათასი ევროს ოდენობით.

საფრანგეთში დაკავებულია კანონიერი ქურდი კახაბერ ალიშბაია

ასევე დააკავეს გიორგი ბიგვავა, ოთარ გიგიაძე, შალვა კიკნაძე...

ევროპაში ქართული კრიმინალური ქსელის წინააღმდეგ მასშტაბური სპეცოპერაციის ფარგლებში დაკავებულთა შორის, პრაიმტაიმის ინფორმაციით, კანონიერი ქურდი, 58 წლის კახაბერ ალიშბაია გახლავთ. მას კრიმინალურ წრეებში „კახა ზუგდიდსკის“ სახელით იცნობენ.

კახაბერ ალიშბაია საფრანგეთში დააკავეს.

ის „კანონიერი ქურდის“ სტატუსით მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში ჯერ კიდევ 1993 წელს „აკურთხეს“. კრიმინალური კარიერის განმავლობაში ალიშბაია 4-ჯერ არის ნასამართლევი, მათ შორის ბოლოს 2015 წელს საფრანგეთში გაასამართლეს, თუმცა მაშინ საპატიმროდან თავის დაღწევა მოახერხა.

სპეცოპერაციის ფარგლებში ასევე დაკავებული არიან ზუგდიდელი კრიმინალური ავტორიტეტი გიორგი ბიგვავა, ქუთაისელი ოთარ გიგიაძე და თბილისელი შალვა კიკნაძე.

დაკავებულთა შორისაა იტალიის ქალაქ ბოლონიაში მდებარე ქართული რესტორნის მეპატრონე კონსტანტინე მიროტაძეც. ის პირადად უწევდა კოორდინაციას იტალიის ტერიტორიაზე მოქმედ დანაშაულებრივ ქსელს.

ლანჩხუთში ოჯახით სავსე მანქანა 50 მეტრიდან გადავარდა

მძღოლი სოსო კილაძე დაიღუპა

9 თებერვალს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ლანჩხუთში. აცანა-მამათის საავტომობილო გზაზე მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და 50 მეტრის სიმაღლიდან გადავარდა.

50 წლამდე ასაკის მამაკაცი ადგილზე დაიღუპა, ხოლო მისი მეუღლე და სამი არასრულწლოვანი შვილი ლანჩხუთის „მედალფას“ კლინიკაში მრავლობითი დაზიანებებით გადაიყვანეს.

ავარიის დროს დაღუპული მამაკაცი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი იყო. სხვადასხვა დროს ის შევარდნაძისა და სააკაშვილის დაცვაში მუშაობდა.

როგორც „პრაიმტაიმს“ დაღუპული სოსო კილაძის ახლობელმა უთხრა, გადავარდნის შემდეგ მამაკაცს ღვედი ვერ გაუხსნია.

– გადავარდნის მერე უწვალია, მაგრამ ღვედი ვერ გაუხსნია, მეუღლეც ეხმარებოდა თურმე, მაგრამ ვერ გამოიხსნა და დაღუპულა საწყალი. ცოლ-შვილი კარგადაა, უკარგესი კაცი წავიდა ჩვენგან, დიდი ტრაგედია მოხდა.

სოსო კილაძის მეუღლისა და 3 არასრულწლოვანი შვილის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით.

შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის 1 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული ვ.გ. ნარკოდანაშაულისთვის რუსთავის გზატკეცილზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს 2 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და ფული.

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას, ვ.გ.-ის თანმხლებმა პირმა – 1986 წელს დაბადებულმა ე.მ.-მ სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწია, არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას, რის გამოც პოლიციის თანამშრომლებმა იგი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით დააკავეს.

ვ.გ.-ის მიმართ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

საბურთალოზე ჩართული გათბობის ქვაბი მოიპარეს

9 თებერვალს თბილისში საცხოვრებელი სახლიდან გათბობის ქვაბი მოიპარეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ქურდობის დროს ქვაბი ჩართული იყო.

შემთხვევა საბურთალოზე მოხდა.

შსს-მ მომხდარზე გამოძიება 177-ე, ქურდობის მუხლით დაიწყო.

იტალიის სახელმწიფო პოლიცია საქართველოს შსს-ს მადლობას უხდის

იტალიის სახელმწიფო პოლიცია საქართველოს შს სამინისტროს მეკავშირე ოფიცერს დანაშაულებრივი დაჯგუფების გამოვლენაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის. ამის შესახებ ინფორმაციას იტალიის სახელმწიფო პოლიცია ავრცელებს.

„საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის არაჩვეულებრივი მუშაობისა და საქართველოს მეკავშირე ოფიცრის ჩართულობის წყალობით, შესაძლებელი გახდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარება“, – ნათქვამია იტალიის სახელმწიფო პოლიციის განცხადებაში.

თ.ჭ. დაზარალებულს დაჰპირდა პროკურატურის ბალანსზე არსებული ბინებისა და მანქანის გადაცემას და 5.500 დოლარი გამოართვა

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე მოქალაქე თ.ჭ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2019 წლის ივნისში თ.ჭ., დაზარალებულს დაჰპირდა, რომ შეეძლო სისხლის სამართლის საქმეებზე სხვადასხვა კომპანიებისა და პირებისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამორთმეული და პროკურატურის ბალანსზე არსებული უძრავი ქონებისა (საცხოვრებელი ბინების) და ავტომანქანის მისთვის გადაცემა, რის სანაცვლოდაც მოტყუებით დაეუფლა დაზარალებულის კუთვნილ 5.500 აშშ დოლარს.

თ.ჭ.-ს ბრალდება წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდების მხარე ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

საქართველოს პროკურატურა მოუწოდებს მოქალაქეებს, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პროკურატურის სახელით მსგავსი ან სხვა სახის უკანონო შეთავაზებას მათ მიმართაც ჰქონდა ადგილი, მიმართონ საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციას, რაზეც მოხდება მყისიერი სამართლებრივი რეაგირება. მათი კონფიდენციალურობა დაცული იქნება.

შს მინისტრი აშშ-ის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ კელი დეგნანთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს სამინისტროში აშშ-ის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტები. საუბარი, ასევე, შეეხო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ, კიბერდანაშაულსა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით განხორციელებული ერთობლივი ღონისძიებების მნიშვნელობას.

მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აშშ-ის მთავრობას მადლობა გადაუხადა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და გაწეული დახმარებისთვის.

ვახტანგ გომელაურმა და კელი დეგნანმა ხაზგასმით აღნიშნეს ორ ქვეყანას შორის არსებული წარმატებული თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობა და სამომავლო ურთიერთობის პრიორიტეტული მიმართულებები დასახეს.

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 687 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 687 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 124 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 563 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

გერმანია შეზღუდვებს 14 მარტამდე ახანგრძლივებს

გერმანია კორონავირუსის გავრცელების შეჩერების მიზნით დაწესებული შეზღუდვების 14 მარტამდე გახანგრძლივებას გეგმავს.

ამის შესახებ კანცლერ ანგელა მერკელსა და 16 ფედერალური მიწის ლიდერებს შორის მოლაპარაკებების პროექტშია აღნიშნული.

ბოლო პერიოდში გერმანიაში ინფიცირების ყოველდღიური მაჩვენებელი იკლებს, თუმცა ქვეყანაში ვირუსის უფრო გადამდები ვარიანტების გავრცელებასთან დაკავშირებით შეშფოთება არსებობს.

– ძალიან მყიფე სიტუაცია გვაქვს. სხვა ქვეყნების, მაგალითად, პორტუგალიის მაგალითზე, ვხედავთ, რამდენად სწრაფად შეიძლება შეიცვალოს სიტუაცია, – განაცხადა ბადენ-ვიურტემბერგის პრემიერმა უინფრიდ კრეშმანმა.

გერმანიაში კარანტინის რეჟიმი 14 თებერვლამდე მოქმედებს. ქვეყანაში სკოლები, ბაღები, სილამაზის სალონები, მუზეუმები და თეატრები დახურულია, მაღაზიებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში კი პირბადის ტარება სავალდებულოა.

სომხეთმა და აზერბაიჯანმა ტყვეები გაცვალეს

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ტყვეების გაცვლის მორიგი პროცესი განხორციელდა.

სომხურმა მხარემ აზერბაიჯანს 1 ტყვე გადასცა, აზერბაიჯანმა კი სომხებს 5 ტყვე დაუბრუნა.

– დღეს ომის ტყვეების კიდევ ერთი გაცვლა განხორციელდა. ჩემი პირადი კონტროლის ქვეშ რუსი სამშვიდობოების მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად რუსეთის თვითმფრინავმა ბაქოში ჩაიყვანა ტყვეობაში მყოფი 1 ადამიანი, 5 ტყვე კი ერევანში დაბრუნდა, – განაცხადა მთიან ყარაბაღში განლაგებული რუსი სამშვიდობოების მეთაურმა, გენერალ-ლეიტენანტმა რუსტამ მურადოვმა.

გასული წლის 9 ნოემბერს აზერბაიჯანისა და რუსეთის პრეზიდენტებისა და სომხეთის პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილი სამმხრივი განცხადება, რომელმაც მთიან ყარაბაღში 27 სექტემბერს დაწყებული საბრძოლო მოქმედებები დაასრულა, სხვა პირობებთან ერთად, სომხურ და აზერბაიჯანულ მხარეებს შორის ტყვეების გაცვლასაც ითვალისწინებს.

რუსეთმა ნავალნის თანაგუნდელის დაკავების საერთაშორისო ორდერი გასცა

რუსეთმა ალექსეი ნავალნის თანაგუნდელ ლეონიდ ვოლკოვზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა.

28 იანვარს საგამოძიებო კომიტეტმა ლეონიდ ვოლკოვის წინააღმდეგ უკანონო ქმედებებისკენ არასრულწლოვნების წაქეზებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

გამოძიების მტკიცებით, არსებობს ვიდეომასალა, სადაც ვოლკოვი არასრულწლოვნებს მოუწოდებს, არასანქცირებულ აქციაში მიიღონ მონაწილეობა.

ვოლკოვმა ქვეყანა 2019 წლის ზაფხულში დატოვა და ამჟამად რუსეთში არ იმყოფება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ანიელი და კონტე ერთმანეთს წაეკიდნენ

ტურინში იტალიის თასის საპასუხო ნახევარფინალურ შეხვედრაში იუვენტუსმა და ინტერმა 0:0 ითამაშეს. ამ გუნდებს შორის პირველი მატჩი მილანში დასრულდა იუვეს გამარჯვებით 2:1 და 2 თამაშის ჯამში ფინალში „ბებერი ქალბატონი“ გავიდა.

თუმცა საინტერესო მარტო ის არ იყო, რაც მოედანზე ხდებოდა. მატჩი დაძაბული გამოდგა ასევე მის კიდესთან.

პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ, სანამ „ნერაძურის“ თავკაცი გასახდელში შევიდოდა, ტრიბუნების მიმართულებით შუა თითი გამოაჩინა.

ეს უხამსი ჟესტი მიმართული იყო ტურინული კლუბის ხელმძღვანელობისკენ, მაგრამ უცნობი რჩება, რამ გამოიწვია კონტეს ასეთი გაღიზიანება.

შესაძლოა, პრობლემა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც ანტონიო განრისხებული დარჩა მსაჯის გადაწყვეტილებით, რომელმაც ლაუტარო მარტინესზე წესების დარღვევა ვერ დაინახა. არადა, ყველამ იხილა მსაჯის გადაწყვეტილების სისწორე, რადგან არგენტინელი ამ ეპიზოდში თავად არღვევდა წესებს ფედერიკო ბერნარდესკიზე.

კონტე აღშფოთებული იყო და ხმამაღლა აპროტესტებდა, რასაც შესაძლოა მოჰყვა კიდევაც არასასიამოვნო კომენტარები ტრიბუნიდან, სადაც ხელმძღვანელობა იმყოფებოდა.

მატჩის დასრულების შემდეგ ანდრეა ანიელისაც გაუჭირდა ემოციების შეკავება და, თუ იტალიურ მედიას დავუჯერებთ, 2-3 „ტკბილი“ სიტყვა კონტეს გაუგზავნა.

წესით, აღნიშნულ საკითხს სადისციპლინო ორგანოები განიხილავენ და, არ არის გამორიცხული, სანქციებიც დააწესონ.

არადა, მოგეხსენებათ, კონტე იუვენტუსისთვის ღვაწლმოსილი ფიგურაა და ერთგულად ემსახურა ტურინულ კლუბს როგორც ფეხბურთელობის, ასევე მწვრთნელობის პერიოდში. ფეხბურთელმა კონტემ იუვესთან ერთად 5-ჯერ მოიგო სერია ა-ს ჩემპიონის ტიტული და ვარსკვლავებით სავსე ნახევარდაცვაში 500-ზე მეტჯერ ითამაშა.

შემდეგ ანიელიმ კონტეს მწვრთნელად უხმო და მანაც „ბებერ ქალბატონს“ 3-ჯერ მოაგებინა სკუდეტო, თუმცა პრეზიდენტსა და მწვრთნელს შორის შავმა კატამ გაირბინა და 2014 წელს, სეზონისწინა სამზადისის დროს, კონტე იუვედან ცუდად წავიდა.

უცნაურია, ერთი წლის წინ დაირხა ჭორი, რომ ანიელი მწვრთნელს იუვეში დაბრუნებას უპირებდა. მაშინ ტურინელთა პრეზიდენტმა თქვა, რომ კონტე იუვენტუსის ფანია. ის გუნდის კაპიტანი იყო და სკუდეტოს სკუდეტოზე იგებდა. აქვთ ნორმალური ურთიერთობა, როგორიც უნდა ჰქონდეთ პროფესიონალებს.

ნახევარფინალური მატჩის ამბების მერე კი ანიელისა და კონტეს მშვიდი ურთიერთობა ეჭვქვეშ დადგა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

კამეჩების ჯოგი ზაქის გადასარჩენად ლეოპარდს თავს დაესხა

შრი-ლანკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე იარნას ეროვნულ პარკში ვიდეოზე გადაიღეს ლეოპარდის ზაქზე თავდასხმა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.

ახალგაზრდა მტაცებელი გზის პირას მობალახე ინდური კამეჩების ჯოგს მიეპარა. ის ტყიდან იმ დროს გამოხტა, როდესაც გვერდით ზაქმა ჩაუარა, კბილებით კისერში ჩააფრინდა და ტყეში შეათრია.

კამეჩების ჯოგი მტაცებელს გამოეკიდა და ზაქის გადარჩენა მოახერხა. ლეოპარდი გარკვეული დროის განმავლობაში კამეჩებს წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც იძულებული გახდა თავის მსხვერპლს შეშვებოდა და თავს ხეზე აძრომით უშველა.

მამაკაცმა 1969 წელს დაწერილი წინასწარმეტყველური წერილი იპოვა



ავეჯის რესტავრატორმა ინგლისის კემბრიჯშირის საგრაფოს ქალაქ პიტერბოროდან ძველ დივანში იპოვა 1969 წელს დაწერილი წერილი, რომელიც მომავლის შემაშფოთებლად ზუსტ წინასწარმეტყველებას წარმოადგენს.

67 წლის პიტერ ბეკერტონმა წარსულიდან გზავნილი იმ დროს აღმოაჩინა, როდესაც ის ძველი დივნის სარესტავრაციოდ გამოიძახეს. წერილი 1969 წლის 23 თებერვალს 11 წლის გოგონას მიერაა დაწერილი, სავარაუდოდ, საშინაო დავალების სახით. მასში ის აღწერს, მისი აზრით, როგორი იქნება ცხოვრება მომავალში.

გოგონამ დაწერა, რომ მომავალში ტელეფონებს ექნება ეკრანი და თანამოსაუბრის დანახვა იქნება შესაძლებელი, „თითქმის როგორც ტელევიზორში“, – აღნიშნა გოგონამ. მისი წინასწარმეტყველების თანახმად, ტელევიზორები ასევე შეიცვლება და ისინი პატარა ყუთებიდან დიდ ეკრანებად გადაიქცევა. მან იწინასწარმეტყველა, რომ არხებზე გადართვა მოხდება არა მოწყობილობის პანელიდან, არამედ სავარძლის სახელურზე არსებული ღილაკებიდან. გოგონამ ასევე იწინასწარმეტყველა გონიერი სახლები და რომ კარის გაღება დისტანციურად მოხდება ღილაკების დახმარებით.

რესტავრატორის მეუღლემ გადაწყვიტა, ნაპოვნი წერილი სოციალურ ქსელებში გამოექვეყნებინა იმის იმედით, რომ მისი ავტორის მონახვა შესაძლებელი გახდება. ქალმა აღნიშნა, რომ მისი ქმარი ძველ ავეჯში ხშირად პოულობს რაიმეს, მაგრამ ეს წერილი მათ შორის ყველაზე საინტერესო გამოდგა.

ზვიგენი სერფინგით მოსრიალე მოზარდს თავს დაესხა



წითელთვალება ზვიგენი თავს დაესხა მოზარდს, რომელიც ავსტრალიის ქალაქ ადელაიდას სანაპიროსთან ტალღებზე სერფინგის თხილამურებით სრიალებდა.

17 წლის ჯედ ფრენჩი სერფინგის თხილამურებით მეგობრებთან ერთად სრიალებდა. მოულოდნელად, ნაპირიდან ერთ კილომეტრში მყოფს, თავს ვიწროკბილება ზვიგენი დაესხა.

ფრენჩის თქმით, მან ყრუ დარტყმის ხმა გაიგონა და შენიშნა, რომ ზვიგენი მის თხილამურებს კბილებით იყო ჩაფრენილი. შემდეგ მტაცებელმა თევზმა წყლის სიღრმეში ჩაყვინთა. მოზარდმა მხოლოდ მისი წითელი თვალები შენიშნა, რომლებიც წყლიდან უყურებდა. მან ვერ შეძლო ზვიგენის ზომის განსაზღვრა. ამის შემდეგ ხუთივე მოზარდმა ნაპირისკენ გაცურა და განგაში ატეხა, რათა ყველა წყალში მყოფი დაუყოვნებლივ ნაპირზე დაბრუნებულიყო. მოზარდი და მისი მეგობრები ამ ინციდენტის შედეგად არ დაშავებულან. სერფინგის თხილამურებზე მტაცებელი თევზის ნაკბილარები დარჩა.

ადგილობრივ პოლიციაში დააზუსტეს, რომ ზვიგენი დაახლოებით ორი მეტრის სიგრძის იყო, რაც ამ სახეობის საშუალო ზომას შეესატყვისება.

გოგონამ საკუთარი სიცოცხლის ფასად სამი წლის ნათესავი გადაარჩინა

ამერიკის ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ბუფალოს მკვიდრმა მოსწავლე გოგონამ საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა თავისი სამი წლის ნათესავი, როდესაც ისინი ციგით სრიალებდნენ.

შაბათ დილით 16 წლის რენე ჰილი პარკში ციგით თავის სამი წლის ნათესავთან ერთად სრიალებდა. როდესაც ისინი კიდევ ერთხელ დაეშვნენ გორაკიდან, მათი ციგები ხეს შეასკდა. გოგონა საკუთარი სხეულით გადაეფარა სამი წლის ბიჭს და დარტყმა საკუთარ თავზე მიიღო. ამით მან ბავშვი დაღუპვას გადაარჩინა. დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ ექიმებმა ჰილის სიკვდილი დაადგინეს, ხოლო მის პატარა ნათესავს საჭირო სამედიცინო დახმარება გაეწია. დაღუპულ გოგონას სამი ძმა და ერთი და დარჩა.

ქალმა თოვლში ჩაფლულ ავტომობილში ხუთი დღე გაატარა და გადარჩა

ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ნიუარკში ხანდაზმულმა ქალმა ძლიერი თოვის შედეგად თოვლში ჩაფლული მანქანიდან გადმოსვლა რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ მოახერხა.

მეხანძრეებმა თოვლით დაფარული ჰონდას მინივენი, რომელშიც 77 წლის ჯანეტ ვუდი იმყოფებოდა, ქალაქის ერთ-ერთ პარკში აღმოაჩინეს. ქალმა იქ ხუთი დღე გაატარა. ამ ყოველივეს მიუხედავად, მას სამედიცინო დახმარება არ დასჭირვებია.

ქალი ავტომობილში გამომწყვდეული ქარბუქის შედეგად აღმოჩნდა, რომლის დროსაც ნიუარკში 30 სანტიმეტრზე მეტი ნალექი მოვიდა. ვუდს სახლი არ აქვს და ამიტომ ღამის გათევა ძირითადად ავტომობილში უწევს და მოტელში ნომერს მხოლოდ ყველაზე ცივ დღეებში ქირაობს.

მოამზადა კახა ხატაშვილმა

საზოგადოება

დათო გველესიანი: „ტელევიზორებს მოსცილდით“

ასე ირწმუნება ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალი დათო გველესიანი:

– მერწმუნეთ, შიში გადააგდეთ!

ტელევიზორებს მოსცილდით. ინფორმაცია, სადაც სულ სიკვდილზეა ლაპარაკი. გამორთეთ ტელევიზორები. ჩართეთ მუსიკა, დაკავდით სწავლით. ცოდნით შევებრძოლებით ყველაფერ მავნეს.

იმუნიტეტი ქვეითდება უარყოფითი ინფორმაციით. უარყოფითი ენერგიით წამლავენ.

სული ენერგიაა. სულს გვიწამლავენ. ენერგიას გვართმევენ. ვისაც შიშები ჰქონდა, ყველა ავად გახდა.

გამორთეთ ტელევიზორი!

სიკვდილმა რა თქვა: მე ათასი უნდა მომეკლაო, მაგრამ სამი ათასი შიშმა დახოცაო. შიში უცოდინრობამ, უიმედობამ იცის. ამიტომ იმოქმედე. შიმშილი სიცოცხლეა. სწორი შიმშილი. წყალი, წვენები, სოფლები, გვაქვს, მთა, ტყე, ველ-მინდვრები.

არ დავიხოცებით, ხალხო.

მთავარია, არ მიიღოთ უარყოფითი, ნეგატიური ენერგია.

გამხიარულდით, ილოცეთ, რომ უფალი თქვენთანაა და, რასაც მოისურვებთ, იმას მოგცემთ.

ბიბლია გვასწავლის ყველაფერს.

მიზიდულობის კანონი არსებობს. მივიზიდოთ ყველაფერი კარგი, პოზიტიური, დადებითი.

ვაკონტროლოთ აზრები, ფიქრები სიცოცხლისკენ, სიყვარულისკენ, სიკეთისკენ. სტრესი ლიმფურ კვანძებს აქვავებს, სითხის შეკავებას ახდენს და შუპდება ადამიანი.

სიმშვიდეშია სიცოცხლე, სიხარულში, გართობაში, სიყვარულში.

გვიყვარდეს მართალი.

დავით სარაჯიშვილის მუზეუმს ზაქარია ფალიაშვილის სანათი გადაეცა

დავით სარაჯიშვილის მუზეუმს ცნობილი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის სანათი და მე-18 საუკუნის ირანული ქირმანშალი საჩუქრად გადაეცა.

საჩუქარი მუზეუმს სოფიო სხვედიანმა შესწირა.

ზაქარია ფალიაშვილი დავით სარაჯიშვილის ერთ-ერთი სტიპენდიატი იყო, ამიტომ მისი კუთვნილი ნივთი სარაჯიშვილის მუზეუმისთვის განსაკუთრებით ძვირფასია.

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე გარდაიცვალა

91 წლის ასაკში ენათმეცნიერი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე გარდაიცვალა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს მინიჭებული ჰქონდა ხალხთა მეგობრობის ორდენი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია.

თამაზ გამყრელიძე სხვადასხვა წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრი, ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის ნამდვილი წევრი.

აკადემიკოსი იკვლევდა ძველი აღმოსავლეთის ენების, ინდოევროპული, სემიტური და ქართველური ენების სტრუქტურისა და თეორიული ენათმეცნიერების საკითხებს.

თამარ გამყრელიძე იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი: საქართველოს კომპარტიის სიით კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი. აკადემიკოსი საქართველოს მე-3, მე-4 და მე-5 მოწვევების პარლამენტის წევრიც იყო.

ქორეოგრაფები განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მინისტრის მოადგილეს შეხვდნენ

საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის წარმომადგენლები იური ტორაძე, კახა მარკოიშვილი და გელოდი ფოცხიშვილი განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე ეკატერინე დგებუაძეს შეხვდნენ.

ინფორმაცია შეხვედრის შესახებ ქორეოგრაფმა გელოდი ფოცხიშვილმა გაავრცელა:

– საქართველოს ეროვნული ქორეოგრაფიული კავშირის წარმომადგენლებს იური ტორაძეს, კახა მარკოიშვილსა და გელოდი ფოცხიშვილს შეხვედრა გვქონდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მინისტრის მოადგილესთან, ქალბატონ ეკატერინე დგებუაძესთან. განვიხილეთ ბევრი საინტერესო საკითხი სტუდიების, ანსამბლებისა და საერთოდ სკოლებში ქორეოგრაფების მოღვაწეობის შესახებ.

მინისტრმა გულითადად მოგვისმინა და ბევრი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტას დაგვპირდა. იყო ლაპარაკი აგრეთვე სტუდიების მუშაობის დაწყების თაობაზე, სავარაუდოდ, პირველი მარტიდან. ქალბატონმა ეკატერინემ გულთან მიიტანა ყველა ჩვენი თხოვნა და დაგვპირდა, რომ განათლების სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს, რათა მარტიდან აღდგეს რეპეტიციები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ძალოსნები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან

ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ქულების მოგროვებას იწყებენ ძალოსნებიც. პირველი უახლოესი ტურნირი 3-13 აპრილს რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში ჩატარდება და ტოკიოს წასასვლელი ქულების ნაწილი იქ გათამაშდება.

საქართველოს კაც და ქალ ძალოსანთა ნაკრებების მთავარმა მწვრთნელებმა გიორგი ასანიძემ და თემურ ჯანჯღავამ 2021 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის გაფართოებული შემადგენლობები დაასახელეს. თუმცა ეს საბოლოო სია არ არის – მწვრთნელები შეგირდებს კიდევ დააკვირდებიან, საქართველოს ნაკრების სრული სახე 3 მარტს გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ შარშან ევროპირველობა კორონავირუსის პანდემიის გამო ვერ ჩატარდა, 2019 წელს კი ტურნირს ბათუმმა უმასპინძლა და მაშინ საქართველოს ნაკრების წევრებმა 5 მედალი მოიპოვეს. ევროპის ჩემპიონი ლაშა ტალახაძე (+109კგ) გახდა, ვერცხლს რევაზ დავითაძე (89) და ირაკლი თურმანიძე (+109) დაეუფლნენ, ბრინჯაოს კი – გოგა ჩხაიძე (67) და ანტონ პლესნოი (96).

სადღეისოდ საქართველოს ვაჟ ძალოსანთა ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

გიორგი დოკვაძე (55 კგ), შოთა მიშველიძე (61), გოგა ჩხეიძე (67), კახი ასანიძე (73), გიორგი ლომთაძე (81), რევაზ დავითაძე (89), ანტონ პლესნოი (96), ირაკლი ჩხეიძე (102), ლაშა ტალახაძე, ირაკლი თურმანიძე (+109).

სათადარიგოთა შორის მოხვდნენ რამინ შამილიშვილი (61), გოდერძი ბერდელიძე (67), არჩილ მალაყმაძე (81), ირაკლი გობეჯიშვილი (89), ლომია თებიძე (96), ზაზა ლომთაძე (102), აკაკი ტალახაძე (109), გიორგი ჩხეიძე (+109).

საქართველოს ქალ ძალოსანთა ნაკრები კი ასე გამოიყურება: მარიამ მაისურაძე (55), მარიამ მურღულიანი (76), ნათია გადელია (81), ანასტასია გოტფრიდი (87).

ჩემპიონთა ლიგა ახალი ფორმატით

2024 წლიდან ჩემპიონთა ლიგის ახალ ფორმატს გეგმავს. როგორც ირკვევა, ამ იდეას მხარს ორგანიზაციის წევრი 55-ვე ფედერაცია უჭერს.

იგეგმება მონაწილე გუნდების რაოდენობის 32-იდან 36-მდე გაზრდა. თუმცა გუნდები ჯგუფებში არ გადანაწილდებიან და შვეიცარიული სისტემით ითამაშებენ. შესაბამისად, თითოეული გუნდი ამ ეტაპზე 6-ის ნაცვლად 10 მატჩს ჩაატარებს – 5-5-ს შინ და სტუმრად. ამ პროექტის თანახმად, ძირითად რაუნდში დამატებით 3 ადგილს ინგლისური, ესპანური, იტალიური და გერმანული კლუბები მიიღებენ, რომლებიც ამჟამად გარანტირებულად ფლობენ 4-4 ადგილს. მე-4 დამატებით ადგილი, შესაძლოა, საფრანგეთმა მიიღოს, რომელიც ამ დროისთვის მხოლოდ 2 გარანტირებულ ადგილს ფლობს.

როგორც გითხარით, 36-ვე გუნდი ერთიან ცხრილში აღმოჩნდება. საუკეთესო 8 გუნდი ავტომატურად მიიღებს მერვედფინალის საგზურს, ხოლო მომდევნო 16 გუნდი ფლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძოლებს.

უეფა ახალ ჩემპიონთა ლიგას 9-წლიან პროექტად განიხილავს, რომელიც 2024 წელს დაიწყება და მინიმუმ 2033 წლამდე გასტანს. გამორიცხული არ არის განახლებული ტურნირის უფრო ადრე დაწყებაც.

ლაპორტას ბარსელონის მწვრთნელად ნაგელსმანი უნდა

ბარსელონის საპრეზიდენტო არჩევნებში ფოსტით ხმის მიცემაზე კლუბის წევრების რეგისტრაცია დასრულდა.

„ბლაუგრანას“ ვებგვერდის ინფორმაციით, არჩევნებში ფოსტით ხმის მიცემის თაობაზე კატალონიურ კლუბს განცხადებით 22.811-მა წევრმა მიმართა.

ცნობილია ისიც, რომ საპრეზიდენტო არჩევნები 7 მარტს გაიმართება. ბარსას პრეზიდენტობისთვის კი ჟოან ლაპორტა, ვიქტორ ფონტი და ტონი ფრეიშა იბრძვიან.

უმთავრეს კანდიდატად ლაპორტა მიიჩნევა, რომელიც საკუთარი პროექტის დეტალებს არ ასაჯაროებს, რადგან კლუბის დესტაბილიზაცია არ სურს.

თუმცა პატარა ინფორმაციამ მაინც გამოჟონა და, როგორც ირკვევა, ლაპორტა, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, გერმანელებს ენდობა – სპორტულ დირექტორად რალფ რანგნიკის დანიშვნას აპირებს, მთავარ მწვრთნელად კი – იულიან ნაგელსმანის.

შეგახსენებთ, რომ ლაპორტა აღნიშნულ პოსტს 2003-10 წლებში იკავებდა.

შედეგები

9 თებერვალი

ფეხბურთი

ინგლისი. თასი

ბარნლი-ბორნმუთი 0:2
მანჩესტერი-ვესტ ჰემი ..... 1:0(დდ)

ინგლისი. ჩემპიონშიპი

როტერჰემი-კარდიფი 1:2
უენსდი-უიკომბი 2:0

ესპანეთი. პრიმეირა დივიზიონი

რეალი-ხეტაფე 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	20	16	3	1	42-12	51
2.რეალი	22	14	4	4	39-19	46
3.ბარსელონა	21	13	4	4	44-20	43
4.სევილია	21	13	3	5	31-16	42
5.ვილიარეალი	22	8	12	2	31-22	36
6.სოსიედადი	22	9	8	5	36-20	35
7.გრანადა	22	8	6	8	26-36	30
8.ბეტისი	22	9	3	10	29-37	30
9.ლევანტე	21	6	9	6	31-31	27
10.სელტა	22	6	8	8	26-33	26
11.ბილბაო	21	7	4	10	28-26	25
12.ხეტაფე	22	6	6	10	17-28	24
13.ვალენსია	22	5	9	8	28-30	24
14.კადისი	22	6	6	10	20-35	24
15.ოსასუნა	22	5	7	10	21-31	22
16.ალავესი	22	5	7	10	19-29	22
17.ეიბარი	22	4	8	10	18-25	20
18.ვალიადოლიდი	22	4	8	10	21-33	20
19.ელჩე	20	3	9	8	18-28	18
20.უესკა	22	2	10	10	18-32	16

იტალია. თასი

იუვენტუსი-ინტერი 0:0

იტალია. სერია ბ

ვენეცია-კრემონეზე 3:1
ვიჩენცა-მონცა 1:2
ლეჩე-ბრეშა 2:2
პიზა-სალერნიტანა 2:2
სპალი-პორდენონე 1:3
ჩიტადელა-კოზენცა 1:1
ემპოლი-პესკარა 2:2
ასკოლი-ფროზინონე 1:1

საფრანგეთი. თასი

ლორიანი-პარიზი 2:1
რეიმსი-ვალანსიენი 3:4
ლიონი-აიაჩო 5:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ბელენენსეში-გიმარაეში 1:1
ფერეირა-პორტიმონენშე 0:0
რიუ ავე-ტონდელა 2:1
ბოავიშტა-ნასიონალი 0:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

შტურმი-რიდი 2:1

შტურმის პირველი გოლი ოთარ კიტეიშვილმა გაიტანა

რაპიდი-ვოლფსბერგერი 1:0

ჩოგბურთი

ავსტრიაიის ღია პირველობა კაცები

გერასიმოვი-კარაცევი 0:6,1:6,0:6
ვავრინკა-ფუჩოვიჩი 5:7,1:6,6:4,6:2,6:7
მიულერი-შვარცმანი 2:6,0:6,3:6
დაკვორტი-ოჯეალიასიმი 4:6,1:6,2:6
რუუსოვური-მარტინესი ... 6:1,3:6,2:6,6:7
მუტე-რაონიჩი 7:6,1:6,1:6,4:6
ჯოკოვიჩი-ტიაფო 6:3,6:7,7:6,6:3
ტიმი-კეპფერი 6:4,6:0,6:2
ბუბლიკი-ლაიოვიჩი 4:6,6:7,6:4,3:6
ოპელკა-ფრიცი 6:4,6:7,7:6,6:7,2:6
შაპოვალოვი-ტომიჩი 6:1,6:3,6:2
მანარინო-კეჩმანოვიჩი 6:1,6:2,6:4
ვესელი-კარუნობუსტა 3:6,6:7,6:2,4:6
კირგიოსი-იუმბერტი ... 5:7,6:4,3:6,7:6,6:4
კრესი-ა.ზვერევი 5:7,4:6,3:6
დიმიტროვი-ბოლტი 7:6,6:1,6:2

ქალები

კორნე-ლი 2:6,6:7
პოტაპოვა-ბაბოში 6:2,6:4
სობოლენკო-კასატკინა 7:6,6:3
ანდრეესკუ-სე 3:6,2:6
ვონდროუშოვა-მარინო 6:1,7:5
კირსტეა-კვიტოვა 6:4,1:6,6:1
სტოიანოვიჩი-ს.უილიამსი 3:6,0:6
დიასი-პერა 6:4,3:6,6:3
ფერო-რიბაკინა 6:4,6:4
მუგურუზა-სამსონოვა 6:3,6:1
ჟაბერი-შმიდლოვა 6:3,6:2
ვ.უილიამსი-ერანი 1:6,0:6
კუდერმეტოვა-გრაჩევა 5:7,6:2,6:2
სვენტეკი-ჯორჯი 6:2,6:4
ტომლიანოვიჩი-ჰალეპი 6:4,4:6,5:7
გარსია-ოსაკა 2:6,3:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

საბურთალო მოლდოველები გააკვირვა

მოახლოებული სეზონისთვის ემზადება თბილისის საბურთალო. გუნდი ყოველთვის ამბიციურია და მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. ეს მხოლოდ ჩვენს ჩემპიონატში, რადგან ევროპაში ყველა გუნდს მოკრძალებული მიზანი აქვს.

საბურთალოელებმა მოლდოველი ფეხბურთელები – ცენტრალური მცველი ვიქტორ მუდრაკი და ნახევარმცველი დმიტრი მანდრიჩენკო დაიმატეს. კლუბის ახალწვეულებთან საუბარი კლუბის გარდა, ქართულ ფეხბურთზეც საინტერესო აღმოჩნდა.

– როგორ აღმოჩნდით საბურთალოში?

ვიქტორ მუდრაკი: მენეჯერი დამიკავშირდა, შემომთავაზა საინტერესო წინადადება. ყველაფერი კარგად გავაანალიზე და მივიღე გადაწყვეტილება, რომ საქართველოში ჩამოვსულიყავი დედაქალაქურ კლუბში. შთაბეჭდილებები დადებითია, კარგ გარემოში ვიმყოფები. საინტერესო ვარჯიშები გვაქვს. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს, როდესაც ოფიციალური მატჩები დაიწყება.

დმიტრი მანდრიჩენკო: როდესაც საქართველოში თამაში შემომთავაზეს, მესიამოვნა. ბოლო წლებს რომ გადავავლოთ თვალი, ვნახავთ, რომ საბურთალო მაღალ პოზიციებზე მებრძოლი გუნდია. ვიცი, რომ გუნდმა მოკლე დროში ყველა ტიტული მოიგო, რაც არაა პატარა ამბავი. ვეცდები, მეც შევიტანო წვლილი გუნდის განვითარებაში. უცხოდ თავს ნამდვილად არ ვგრძნობ, მეგობრული ატმოსფეროა გუნდში.

– რა გსმენიათ ქართული ფეხბურთისა და საბურთალოს შესახებ?

მუდრაკი: სანაკრებო დონეზე მოლდოვა და საქართველო რამდენიმეჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ქართველები ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ. რაც შეეხება საბურთალოს – კარგად მახსოვს 2019 წლის ზაფხული, როდესაც ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე, მოლდოვური ფეხბურთის ყველაზე ტიტულოვან და დიდი ტრადიციების გუნდს, შერიფს შეხვდა. ყველა გაოცებული იყო ტირასპოლში საბურთალოს თამაშით. მაშინ გუნდმა ძალიან დამაჯერებლად ითამაშა და დიდი ანგარიშით მოიგო (3:0). ბევრი არ მოელოდა მოლდოვაში ამ შედეგს.

მანდრიჩენკო: მართალია, 2019 წლის შემდეგ საბურთალო გადახალისებულია, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელი ისევ თამაშობს იმ შემადგენლობიდან. ახალგაზრდებიც ნიჭიერები არიან. შერიფთან ჩატარებულმა მატჩმა მეც გამაკვირვა, არ მეგონა, ქართული გუნდი ასეთი ანგარიშით თუ იმარჯვებდა. ზოგადად, ქართველები ყოველთვის ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ და რთულია მათ წინააღმდეგ თამაში.

– ბოლოს ბელარუსის მოზირის ღირსებას იცავდით. როგორ ფიქრობთ, დიდი სხვაობა იქნება ბელარუსის, მოლდოვისა და საქართველოს ჩემპიონატებს შორის?

მუდრაკი: მოზირი ბელარუსში საშუალო დონის გუნდია. იქ ძირითადად ხისტ და ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ. ჯერ ბოლომდე არ შემიძლია ვთქვა, თუ რომელი უფრო ძლიერი ჩემპიონატია, სანამ საქართველოს პირველობაზე არ ვითამაშებ, თუმცა, არა მგონია, დიდი სხვაობა იყოს. ჩემთვის საქართველოში თამაში ახალი გამოწვევაა. ველოდები ეროვნულ ლიგაში ოფიციალურ დებიუტს.

– თქვენ ამხანაგურ შეხვედრაში პირველი გოლის გატანაც მოასწარით. ეს ფაქტორი ფსიქოლოგიურად დაგეხმარებათ?

მანდრიჩენკო: კარგია გოლის გატანა, მაგრამ მთავარია, გუნდმა მიაღწიოს შედეგს. როდესაც ახალ გარემოში იმყოფები, აღნიშნული ფაქტორი ხელს გიწყობს ადაპტაციაში. ჩემს საფეხბურთო კარიერაში პირველად ვარ ლეგიონერის სტატუსით. იმედია, წარმატებით გაგრძელდება ჩემი კარიერა. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული – როგორც წარმოვაჩენ თავს, ისე გაგრძელდება ჩემი სპორტული კარიერა.

– მოლდოვის ნაკრების ფეხბურთელი ხართ. რას ნიშნავს თქვენთვის, იყოთ ქვეყნის პირველი გუნდის ფეხბურთელი?

მუდრაკი: როდესაც ქვეყნის მაისურს ირგებ, სულ სხვა ემოციებში ხარ. დიდი პატივია, ამავდროულად – ორმაგი პასუხისმგებლობა. ნაკრებში თამაში სულ სხვა გამოცდილებას გაძლევს, ბევრად მაღალ დონეზე თამაშობ. ძალიან განსხვავდება საკლუბო და სანაკრებო მატჩები. მჯერა, ქვეყნის ნაკრებში მომავალშიც გამომიძახებენ და კვლავ მომიწევს ნაკრების მაისურის მორგება.

– რა მიზნები გაქვთ საბურთალოში?

მანდრიჩენკო: მინდა, საბურთალოსთან ერთად ევროტურნირებზე ვითამაშო და ტიტულები მოვიგო. ვფიქრობ, კლუბს ამის პოტენციალი გააჩნია. ევროსარბიელზე თამაში დიდი გამოცდილებაა. ვეცდები, კარგად წარმოვაჩინო თავი და დავეხმარო გუნდს მიზნების მიღწევაში.

მუდრაკი: დიდი იმედი მაქვს, რომ, რომელიმე ქართულ ტიტულს მოვიგებ. მართალია, იოლი არ იქნება, მაგრამ საბურთალოს ამის შესაძლებლობა აქვს. მინდა, კარგი თამაშით დავამახსოვრო თავი გულშემატკივარს.

ქართველი ჭყალბურთელები ოლიმპიადას შეუტევენ

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ტოკიოს ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირისთვის ემზადება. ქართველ წყალბურთელებს ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსი ჯერ კიდევ რომ აქვთ, იმის დამსახურებაა, რომ გასულ ევროპის ჩემპიონატზე მე-10 ადგილის დაკავება მოახერხეს.

ეს რევაზ ჩომახიძის მუშაობის დროს მოხდა. ახლა ეროვნულ გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს – სერბი დეიან სტანოევიჩი, რომელსაც ზურაბ რურუა და გელა ტუკვაძე ეხმარებიან.

ოლიმპიადაზე მოხვედრა კი ურთულესი ამოცანა იქნება, რადგან 3 საგზურისთვის 12 გუნდი იბრძვის.

ეს 12 გუნდი 14-21 თებერვალს ნიდერლანდების ქალაქ როტერდამში შეიკრიბება და ორ ჯგუფად გადანაწილდება. ჯგუფების საუკეთესო 4-4 გუნდი ფლეი ოფში გავა, თამაშს ოლიმპიური სისტემით გააგრძელებს და, როგორც გითხარით, საუკეთესო 3 ნაკრები ტოკიოში წავა.

გუნდები ჯგუფებში ასე გადანაწილდნენ:

ა ჯგუფი: ბრაზილია, კანადა, საქართველო, საბერძნეთი, ჩერნოგორია, თურქეთი;

ბ ჯგუფი: ხორვატია, ნიდერლანდები, საფრანგეთი, რუსეთი, გერმანია, რუმინეთი.

თამაშები ყოველდღეა. ჩვენები ჯერ ბერძნებს ხვდებიან, რომელსაც თანმიმდევრობით მიჰყვებიან თურქეთი, კანადა, ბრაზილია და ჩერნოგორია. 19 თებერვალს მეოთხედფინალები გაიმართება, 20-ში – ნახევარფინალები, 21-ში კი – ფინალი და მატჩი მე-3 ადგილისთვის.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა 15 წყალბურთელი შეარჩიეს:

მეკარეები: ირაკლი რაზმაძე, ნიკოლოზ შუბლაძე;

მცველები: ბექა ქავთარაძე, ვატო დადვანი, მარკო ელაჩა, ხვიჩა ჯახაია;

ფორვარდები: ბესო ახვლედიანი, ბორის ვაპენსკი, მარკო ელეზი, ნიკოლოზ შუშიაშვილი, რევაზ იმნაიშვილი, გიორგი მაგრაქველიძე;

ცენტრები: ფაბიო ბარალდი, სანდრო ადეიშვილი, ანდრია ბითაძე.

ჯოსვოხდი ბ

შვეულად: 1. ევერესტის დამლაშქრავი ქართველი ალპინისტი; 2. სასტუმროს ერთ-ერთი ტიპი; 3. მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 4. მოოქროვილი ვერცხლის ნაკეთობა; 5. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 10. ნავთობის საბადო კახეთში; 11. დიდი ზომის სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 12. უპატრობა, შეუსაბამობა; 15. მსოფლმხედველობა, რომელიც გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულითა და პატივისცემით; 17. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 20. ჟირაფის ერთ-ერთი სახეობა.

თარაზულად: 6. ქალაქის თავი გერმანიაში; 7. თვითნება, ტირანი ადამიანი; 8. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 9. წყალი მყარ მდგომარეობაში; 13. თაფლგამოცლილი ფიჭა; 14. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 18. ძველებური ქართული მონასტერი; 21. წრეხაზის ნაწილი; 22. ქსოვილების, ფართლეუღის ვაჭარი ძველად; 23. ყველაზე ღრმა ტბა აფრიკაში; 24. ქართველებით დასახლებული რაიონი აზერბაიჯანში.



შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰუნდაი; 2. კერი; 3. კორექტურა; 4. ღალღა; 5. ყიფშიძე; 8. ხალისი; 9. პარანგონი; 12. ვარანი; 14. ივრითი; 16. ატაშე.

თარაზულად: 1. ჰინდიკუში; 6. პოტომაკი; 7. ნუსხური; 9. პოშეტი; 10. დასი; 11. მიუსერა; 13. ულისე; 15. ლაზიკა; 17. ფაიზერი; 18. ხანძთა; 19. ქართლი; 20. შეგირდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ვერდილიო; 2. ეტალონი; 3. ალილო; 4. ზაგრები; 5. მერჩულე; 10. სოლოლაკი; 11. ქსენოფობია; 12. ამფიბია; 15. მოდულაცია; 16. ბიონსე;. 17. ფიდელიო; 20. ვეკუა.

თარაზულად: 6. ბერიტაშვილი; 7. კაიზერი; 8. პრომილე; 9. ალკენი; 13. პერო; 14. ესკიმო; 18. ვილსდორფი; 19. ჰიუგო; 21. ცერნი; 22. ელბსი; 23. ქონდაქარი; 24. კვარიათი.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

11 თებერვალი

აშშ დოლარი — 3.3112

ევრო — 4.0145

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5834

100 რუსული რუბლი — 4.4852

ამინდის პროგნოზი 11 თებერვლისათვის

2018311219672

21 იანვრიდან გაზეთთ „ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება

მაია ბურჭულაძის სერიალის „დიმიტრი ძნელაძე კრიმინალისტიკის ლაბირინთებში“

7-ტომეული

21 იანვრიდან ..... ტომი 1
25 იანვრიდან..... ტომი 2
28 იანვრიდან..... ტომი 3
1 თებერვლიდან ..... ტომი 4
4 თებერვლიდან..... ტომი 5
8 თებერვლიდან..... ტომი 6
11 თებერვლიდან..... ტომი 7

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

16 თებერვლიდან

ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია

ტომი 1

სერია „ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგიაში“ თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქისა და მიმდინარეობის ქართველი მწერლების რჩეული საბავშვო მოთხრობები. მათი წაკითხვა ფრიად გაამდიდრებს ბავშვის ფანტაზიას, წარმოსახვის უნარს, ლექსიკას და შეაყვარებს ლიტერატურას.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

იუმორი

ახალგაზრდა მამაკაცი გოგონას მიმართავს:

– უკაცრავად, თქვენ მომდევნო ცეკვაზე უკვე მიგიწვიეს?

– არა, ჯერ ისევ თავისუფალი ვარ!

– მაშინ ჩემი ლუდის კათხა დამიჭირეთ, სანამ ვიცეკვებ.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ ხარ?

– ტამპექსივით.

– ეგ როგორ?

– კარგ ადგილას ვარ, მაგრამ ცუდ დროს...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, როდესაც ახალი შეუღლებულები ვიყავით, საღილზე შენ დიდ ნაჭრებს მე მიტოვებდი, თავად კი მცირეს იღებდი, ახლა კი პირიქით ხდება, რა, აღარ გიყვარვარ?

– სისულელეა, ძვირფასო, უბრალოდ, ახლა უფრო გემრიელი კერძების გაკეთება ისწავლე.

●●●

ექთანი ექიმს ეკითხება:

– რა ჩავწერო გარდაცვალების დასკვნაში?

– ჩაწერე, კორონავირუსი.

– კი მაგრამ, გარდაცვლილს ხომ ექვსი დანით და ორი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნება!

– ჩაწერე, კორონავირუსი თანამდევი დაავადებებით!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანუკი არეშიძე საბავშვო კოლექციას გამოუშვებს

დიზაინერი ანუკი არეშიძე გაზაფხულიდან საბავშვო კოლექციას გამოუშვებს.

სიახლე თავის ათასობით გულშემატკივარს დიზაინერმა სოციალური ქსელით შეატყობინა.

„ნიკოლას“ – ასე ერქმევა საბავშვო კოლექციის ხაზს. ანუკიმ ეს სახელწოდება თავის ბრენდს მეოთხე შვილის – ნიკოლოს სახელიდან გამომდინარე უწოდა.

ნატო გელაშვილს შვილებმა სიმღერა მიუძღვნეს

მომღერალსა და კომპოზიტორს ნატო გელაშვილს შვილებმა ლუკა და გიორგი ჭოხონელიძეებმა საჩუქრად უტკბილესი სიმღერა მიუძღვნეს და მასზე ძველი თბილისის ქუჩებში ვიდეოკლიპიც გადაიღეს.

მომღერალმა შვილების საჩუქარი დადებითად შეაფასა და განსაკუთრებული განცდაც დაეუფლა:

– ეს პირველი სიმღერაა, რომელიც დაბადების დღის საჩუქრად მომიძღვნეს. საოცარი განცდა ყოფილა.

ამირან შალიკაშვილი თეატრების ერთობლივი პრემიერის ინიციატივით გამოდის

პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ამირან შალიკაშვილი გამოდის ინიციატივით, 52-ვე თეატრმა ერთდროულად გამართოს პრემიერა:

– ჩემი ერთი ხმა თუ იქნება საკმარისი, რომ ყველა თეატრს მოვეფერო, აი, გეფერებით და მინდა, გაძლება მოგცეთ ღმერთმა! მე, როგორც ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, მინდა, ყველა თეატრს ახალი ძალებით ვუსურვო მალე გახსნა და ულამაზესი პრემიერები!

მინდა, ჩემი ერთი პატარა სურვილი გაგიზიაროთ – როდესაც გადაივლის ეს მძიმე პერიოდი და დადგება გახსნის დღე 2021 წელს, ერთი თვე და რიცხვი ავირჩიოთ და ყველამ ერთად ერთ დღესა და ერთ დროს მთელ საქართველოში ვითამაშოთ პრემიერა ერთდროულად! გავავსოთ ყველა თეატრის დარბაზი დიდი შემოქმედებითი სიყვარულით.

ეს იქნება საქართველოს გაცოცხლება, მისი ამოსუნთქვა და ყოველი ცუდის დავიწყება! ვფიქრობ, როდესაც 52 თეატრი ერთდროულად გამართავს პრემიერას, ეს იქნება გრანდიოზული დღესასწაული ჩვენი ულამაზესი ქვეყნისათვის.

ამ პროექტის შესრულებისთვის შეგვიძლია, თეატრები დავუკავშირდეთ ერთმანეთს და ლამაზი დღესასწაულის განხორციელება შევძლოთ.

გისურვებთ ღვთის წყალობასა და ჯანმრთელობას!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ღარიბმა მეთევზემ მარგალიტის პოვნა ნარკოწვეულებით აღნიშნა

ღარიბი მეთევზე ტაილანდის პროვინცია ნაკხონსიტხამარატიდან, რომელმაც უიშვიათესი ნარინჯისფერი მარგალიტი იპოვა და რომელიც საკმაოდ ძვირად ფასობს, ნარკოტიკების შენახვაშია ეჭვმიტანილი.

37 წლის ხატჩაი ნიიომდეჩა მარგალიტის ჩინელი ბიზნესმენისთვის მიყიდვას აპირებდა, რომელიც 10 მილიონი ბატის გადახდას ჰპირდებოდა. მომავალი გარიგების პატივსაცემად მან ნარკოწვეულება გამართა და მეგობრები მიიწვია. ხმაურისგან შეწუხებულმა მეზობლებმა პოლიციაში დარეკეს და მეტისმეტად ხმამაღალი მუსიკისა და ნარკოტიკების შემაწუხებელი სუნის გამო იჩივლეს.

ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ნიიომდეჩას სახლის მახლობლად დამალული სამი კოლოფი აღმოაჩინეს. ორ მათგანში დაუდგენელი ნივთიერება იყო შენახული, ხოლო მესამე კოლოფში 16 ათასი მეტამფეტამინის აბი აღმოჩნდა. მეთევზის მტკიცებით, კოლოფები მას არ ეკუთვნის, პოლიციაში კი ამტკიცებენ, რომ მათზე მისი თითების ანაბეჭდებია აღმოჩენილი.

ოთხმეტრიანმა ნიანგმა მეთევზეების თვალწინ ორი ზვიგენი შეჭამა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ კარდუელის მახლობლად ოკეანიდან ამოსულმა ნიანგმა მეთევზეების თვალწინ ორი ზვიგენი შეჭამა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

კვირა დილით ივონა და ტონი პალმერები ოკეანის სანაპიროზე თევზაობდნენ. მათ ორი პატარა ზვიგენი დაიჭირეს. რამდენიმე წამში წყლიდან მოულოდნელად ოთხმეტრიანი ნიანგი ამოვიდა და პალმერების მიერ დაჭერილი ზვიგენები შეჭამა. ეს შემთხვევა ვიდეოზე ივონამ გადაიღო.

– ეს ყველაზე დიდი ნიანგია მათ შორის, რომლებიც კი ოდესმე შემხვედრია, – აღნიშნა ვიდეოს ავტორმა.

ზვიგენების შეჭმის შემდეგ რეპტილია შეტრიალდა და ოკეანეში დაბრუნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რამოსს რეალში დარჩენა არ სურს

სერხიო რამოსმა საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ რეალი დატოვოს, რადგან რეალმა მას ხელფასის შემცირება შესთავაზა, რაზეც ის თანახმა არ არის.

რამოსი ასევე აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ მადრიდელები კილიან მბაპეს გაცილებით მაღალ ანაზღაურებას სთავაზობენ, თუ ფრანგი რეალში გადავა სათამაშოდ.

ესპანურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რამოსი კარიერას ინგლისში გააგრძელებს, მაგრამ კონკრეტული გუნდი არ სახელდება.

მაიკ დინს მოკვლით ემუქრებიან

ცნობილ ინგლისელ მსაჯ მაიკ დინს სოციალურ ქსელში ბევრი მუქარის წერილი მიუვიდა, სადაც

მას სიცოცხლის მოსპობითაც ემუქრებიან და ამის გამო დინმა ინგლისის საფეხბურთო ფედერაციას სთხოვა, რომ მომავალი ტურის შეხვედრაში ის არ დანიშნონ.

დინმა რამდენიმე შეცდომა ფულჰემისა და ვესტ ჰემის დაპირისპირების დროს დაუშვა და თავისი შეცდომები მატჩის შემდეგ აღიარა კიდეც.

დიდი ალბათობით, ინგლისის საფეხბურთო ფედერაცია მის თხოვნას დააკმაყოფილებს და დინი მომავალ ტურში არ იმსაჯებს.

ჟერომ ბოატენგი კარიერას ჩელსიში გააგრძელებს

მიუნხენის ბაიერნის ცენტრალური მცველი ჟერომ ბოატენგი კარიერას ლონდონის ჩელსიში გააგრძელებს. ამის შესახებ ინფორმაცია გერმანულ პრესაში გავრცელდა. ბოატენგს კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და ის გახანგრძლივებას არ აპირებს, თუ ბაიერნი უკეთეს პირობებს არ შესთავაზებს.

ბოატენგმა უკვე შეათანხმა პირადი კონტრაქტი ჩელსისთან და ის ლონდონურ გუნდს ზაფხულში შეუერთდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

11 თებერვლისათვის

ვერძი – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **კურო** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **ტყუპები** – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კირჩხიბი** – მამაკაცების საყურადღებოდ – იკვებეთ სწორად. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე, მოთმინება და სულგრძელობა დღის დევიზია. **ლომი** – დაძაბულობა და გადაღლა ნერვულ სტრესამდე და ავადმყოფობამდე მიგიყვანთ. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ქალწული** – სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით – მძღოლებს. საქმიან პარტნიორებთან პატარა გაუგებრობაა მოსალოდნელი. **სასწორი** – ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია. მაქსიმალურად ეცადეთ, გარშემომყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერ საკითხს გონივრულად მიუდექით. საქმე აუჩქარებლად და დაკვირვებით აკეთეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ და გამოასწორეთ. **თხის რქა** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მერწყული** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებთან ურთიერთობას. **თევზები** – დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვარედინი

შვეულად: 1. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 2. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 3. ელჩის გამოწვევა სახელმწიფოდან; 4. იაპონური კოსმოსური თანამგზავრი; 5. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 8. საჩუქრად მირთმეული რამე; 9. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 12. სასახლის სახელწოდება იტალიაში; 14. ფრანგი კომიკოსი; 16. რაიონული ცენტრი სამეგრელოში.

თარაზულად: 1. სამშობლოსგან განშორების სევდა; 6. ისტორიული სასტუმრო ნიცაში; 7. ზიარებისათვის განკუთვნილი ოქროს ან ვერცხლის სასმისი ეკლესიაში; 9. ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი ბურგუნდიაში; 10. ტბა აფხაზეთში; 11. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სათამაშოების მაღაზიაში ლონდონში; 13. იტალიელი ფიზიკოსი, პირველი ატომური რეაქტორის შემქმნელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 15. დიპლომატიური კურიერის სპეციალური დაღუქული ჩანთა; 17. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 18. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 19. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 20. ინდონეზიის დედაქალაქი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა